1958/2

დროშა

№ 7 ივლისი 1958

ეროვნული ბიბლიოთეკა
619/2
6



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორჯომი. ხედი 26 კომისრის სახელობის პლატოდან. ფოტო ი. კირშენბლატისა

გარეკანის პირველ გვერდზე: საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ფერადი ფოტო თ. არჩვაძისა.

მეოთხე გვერდზე: შავი ზღვის სანაპირო. მზის ჩასვლა. ფერადი ფოტო დ. სმირნოვისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 7 (84) ივლისი 1958 წ.

გამოცემის VII წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტონინ ნოვოტნი თბილისში

საქართველოს დედაქალაქის მშრომელები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ძვირფას სტუმრებს — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ანტონინ ნოვოტნის და მის თანმხლებ პირებს.

სტუმრებს შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

ჩეხოსლოვაკელმა სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისი, რუსთავი, გაეცნენ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებას, მის მოწინავე ადამიანებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ც. კ-ის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქ. კ. პ. ც. კ-ის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე ესალმება ანტონინ ნოვოტნის.

ა. ნოვოტნი ესაუბრება რუსთაველ მეტალურგებს.

7746

ფოტო ვლ. გინზბურგისა
და მ. კვირიკაშვილის



ა. ნოვოტნი ესალმება თბილისის მშრომელებს.

ერთი კითხვიდან

პოლისტიროლისა და ბევრი სხვა პოლიმერიდან შეიძლება დამზადებულ იქნას ლრუბლისებური მსუბუქი მასალა. იგი ორმოცდაათჯერ მსუბუქია, ვიდრე წყალი და ამასთანავე, საკმაოდ მტკიცე და გამძლე. ამ მასალისგან გაკეთებული ფიცრები 2 სმ სისქისაა. იგი არ ატარებს ხმაურსა და სითბოს.

ყველაფერი აირისაგან

ჩვენი თბილისის უმცროს ძმას, რუსთავს, ერთი შესანიშნავი თავისებურება ახასიათებს. ყოველი ახალი შეხვედრა მასთან თვალწინ გადაგიშლით უთუოდ კიდევ რაღაც უცნობსა და ახალს ამ დიდი და ლამაზი ქალაქის როგორც გარეგნობაში, ასევე მის მკვიდრთა საქმიანობაში.

ჩვეულებრივ, როცა დიდ სამრეწველო საწარმოს შესახებ ვლაპარაკობთ ხოლმე, წარმოდგენა გვაქვს რაღაც გრანდიოზულზე, აქ კი, აზოტ-სასუქის ქარხანაში გასაოცარი სიწყნარეა და ადამიანთა სიმცირე. საამქროების სახელოდებანი, ასეთი ავტომარეგულირებელი და საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები, პირველად რუსთავისთვის კონსტრუირებული და დამზადებული, ნედლეული და მზა პროდუქცია — ყველაფერი გაოცებას იწვევს, ყველაფერს გაფართოებული თვალებით უყურებ, და უნებლიეთ გაგიელვებს ამ დროს აზრი — რა ცოტა რამ ვიცით სინთეზისა და დიდი მოლეკულების ქიმიის შესახებ

ალბათ, გულის გასაკეთებლად სინთეზის საამქროს ახალგაზრდა თანამშრომელი ვერა ქაჯაია განუგეშებთ:

— ქარხნის ბიბლიოთეკაში შეგიძლიათ იშოვოთ მოკლე პოლიტექნიკური ლექსიკონი. ცოტა არ იყოს მოძველდა, მაგრამ მაინც....

— როგორ, დიდი ხნის გამოცემულია?

— 1956 წელსაა გამოცემული. სწორედ ჩვენი ქარხანა ამუშავდა იმ დროს. მაშ რატომღა ვამბობთ, მოძველდაო? — ვერას გაიღიმა. — ალბათ, გიგონებდით, ქარხანაში ააგებენ საამქროებს კაპროლაქტამის საწარმოებლად — პირველსაწყისი ნედლეულისგან მაღალხარისხოვანი კაპრონის დასამზადებლად. და აი, დავინტერესდი, ჩავიხედე ლექსიკონში, იქ წერია: „კაპრონი გამოიყენება ტექნიკური ქსოვილების გამოსამუშავებლად, აგრეთვე, ქალის წინდების დასამზადებლად“. სულ მცირე რამ გამორჩათ, გარდა ქალის წინდებისა, შემკული ქსოვილებისა, ქურქებისა, კაპრონისგან უკვე აკეთებენ გემის ხრახნებს სწრაფმავალ

რუსთავი. აზოტ-სასუქის ქარხნის დირექტორი ნ. ჭიპაშვილი (მარჯვნივ) და სინთეზის ქარხნის საამქროს უფროსი ვ. გრძელიძე.

საზღვაო ხომალდებისთვის, კაპრონის ნარჩენებსაც კი იყენებენ — მისგან დეტალებს ასხამენ.

...ქარხნის ვეტერანები, — თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ ჯერ სრულიად ახალგაზრდა მეხელსაწყეებს, მემანქანეებს, ლაბორანტებს, ინჟინრებს, — სიამოვნებით იგონებენ, რომ პირველი პროდუქცია მათ მიიღეს პარტიის XX ყრილობის მუშაობის დაუვიწყარ დღეებში. უფრო მეტიც, ყრილობამ ქარხანას დაუსახა სახარბიელო ამოცანა — საქმე ისე იყოს დაყენებული, რომ 1960 წელს საქართველოში მინერალური სასუქების გამოშვება რვაჯერ გადიდდეს.

კომუნისტებმა საკმაოდ დამაჯერებლად განუმარტეს კოლექტივს, რომ ჩვენი ქარხნის მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული საქართველოს ჩაის პლანტაციების, სომხეთის ვენახების, აზერბაიჯანისა და შუა აზიის ბამბის მინდვრების მოსავლის ბედი. აზოტი — ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ელემენტია მცენარის გამოსაკვებად. აზოტის სასუქი სჭირდება სიმინდს, ხორბალს, ბოსტნეულს. ქარხანაში სახელმწიფო გეგმის გადამეტებით მიღებული ამიაკისა და ნატრიუმის გვარჯილის თვითეული ცენტნერი, ეს — სულ ცოტა — კიდევ ერთი ტონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაა მოსახლეობისთვის, ან ნედლეული — მრეწველობისთვის.

ყრილობის მიერ მითითებულ ვადამდე ჯერ კიდევ ორნახევარი წელიწადია. და აი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე სიტყვას იღებს ქარხნის დირექტორი ნიკოლოზ ჭიპაშვილი. იგი რუსთავის ძველი მკვიდრთაგანია, ერთი იმათგანი, რომელიც მზით გადახრუკულ მიდამოებში პირველ კარვებს დგამდა, ბრძმედებისა და მარტენის ღუმელებისთვის ქვაბულებს თხრიდა.

მშრალად და შეულამაზებლად, როგორც დირექტორებს ჩვევიათ, ჭიპაშვილმა აცნობა დამსწრეთ:

— შედარებით სხვა მონათესავე წარმოებებთან, მოკლე ვადაში გადაჭარბებულია საპროექტო სიმძლავრე, ათვისებულია მინერალურ სასუქთა წარმოება კოქსის აირის სრული ქიმიური გამოყენების საფუძველზე... მოსკოვის მეცნიერთა და დამპროექტებელთა დახმარებით ათვისებულია მეტანის, ჟანგარტადი კატალიტური კონვერსიის ორიგინალური პროცესი... საქართველოს მეცნიერებთან ერთად შემუშავებულია ორგანული გოგირდისგან კოქსის აირის გაწმენდის სამუშაოება, ამასთანავე ძვირად ღირებული შემოტანილი შთანთქმელები ხელსაყრელად შეცვლილია მარგანეცის მადნის ნარჩენებით. პირველად საბჭოთა კავშირში დაწყებულია სახალხო მეურნეობის მრავალი დარგისთვის აუცილებელი მარგანეცმჟავა კალიუმის წარმოება... ტექნოლოგიური პროცესის ჩვენი კონსტრუქციები და სქემები ახლა დაპროექტებულია საბჭოთა და უცხოეთის მთელი რიგი ქარხნებისთვის.

ნიკოლოზ ჭიპაშვილმა პაუზა გააკეთა და... მერე შეუდგა იმის მტკიცებას, რომ არსებითად მისდამი რწმენებული ქარხანა... ნამდვილი საქმიანობის მხოლოდ კარიბჭეზე დგას, რომ ყველაფერი, რასაც ამ ორ წელიწადში მივაღწიეთ, წარმოადგენს მხოლოდ საწყის პოზიციებზე ფეხის შედგმას, საიდანაც ნამდვილი მწვერვალების იერიში უნდა დაიწყოს. და კაცმა რომ თქვას, მართლაც ასეა საქმე — რევოლუცია ქიმიის სფეროში მხოლოდ ახლა იწყება!

ამის უბრალო და თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთი შემდეგი გახლავთ. საბჭოთა ქვეყნის სამხრეთით თუ ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით თუ დასავლეთით — ყველგან მოუთმენლად და მადლობით ელებებიან ამიაკის გვარჯილით დატვირთულ ეშელონებს. სასარგებლო, შესანიშნავი პროდუქტია, მაგრამ ის მოსავლის მხოლოდ ადიდებს (სულ ამ ცოტა ხნის წინათ ამით სავსებით კმაყოფილნი იყვნენ ყველანი!), მაშინ, როცა ნარჩენი ნახშირბადისგან მიღებული კარბამიდი — სინთეტიკური შარდოვანა — მიწათმოქმედს საშუალებას აძლევს ნებისმიერ დაიჩაროს მცენარეულის, თუნდაც ჩაის ფოთლისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის დამწიფება. კიდევ მეტი, კარბამიდი პირდაპირ უნივერსალური ნედლეულია საუცხოო პლასტმასის შესაქმნელად, რისგანაც მზადდება თვითმფრინავების, ავტომანქანების დეტალები, ლაქი, წებო მეტალის შესაწებებლად. კარბამიდის საშუალებით შეიძლება, აგრეთვე, ნავთის თანანაწარმი პროდუქტებისაგან პარაფინის მიღება, რომელიც ასევე ფრიად სასარგებლო ნივთიერებაა.

ქიმიკოსებს შეუძლიათ შესთავაზონ საქართველოს მიწათმოქმედთ მეორე დიდად საიმედო და იაფფასიანი საშუალება ციტრუსებისა და ბოსტნეულის მოსავლის გასადიდებლად და დამწიფების დასაჩქარებლად. ეს გახლავთ პოლიეთილენის აფსკა ნაცვლად ძვირად ღირებული მინისა, ორანჟერეებისა და სათბურების გადასახურავად. პოლიეთილენის მილები წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ სარწყავად და ტენის გასაფანტავად. მაგრამ, ალბათ, საჭიროა განვმარტოთ, რა არის პოლიეთილენი და საერთო რა აქვს მას რუსთავთან. კოქსის აირისგან სინთეტიკურ სპირტთან ერთად ღებულობენ უფერო ეთილენის პირდაპირ შთამომავალს კი — მაღალმოლეკულარულ, ქიმიურად სრულიად ინერტულ და უსუნო ნივთიერებას პოლიეთილენი ეწოდება. თუ მოისურვებთ ახლო გაეცნოთ პოლიეთილენს, დაათვალიერეთ, ხელით მოსინჯეთ თქვენი მაცივარის, სარეცხი მანქანის და ეზოს წყლისსაზომის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილები. პური, შენახული პოლიეთილენისგან გაკეთებულ ყუთში, არ ობდება და არც ხმება რამდენიმე კვირის განმავლობაში.

ყველა ეს მაცთუნებელი შესაძლებლობანი ცოცხალ რეალობად რომ იქცეს აზოტ-სასუქის ქარხანაში, — უფრო მართებული ხომ არ იქნებოდა ქიმიური კომბინატი ვუწოდოთ მას? — შექმნილი იქნება კოქსის ნახშირის ყველა თანანაწარმ პროდუქტთა გამოყენების დასრულებული ციკლი. ყველაფერ იმისგან. რასაც გუშინ, და თუნდაც დღესაც, უდარდელად ჰყრიდნენ მეტალურგები, მიიღება ფენოლფორმალდეგიდური ფისი, ბენზოლი და ტოლუოლი — შესანიშნავი პირველსაწყისი მასალა საქართველოში დიდი ქიმიური სინთეტიკური პლასტიკისა და ბოჭკოების გასავითარებლად.

ამასთანავე წარმოიშობა საინტერესო „ჯაჭვური რეაქცია“. რუსთავში ქიმიური პროდუქტების ახალშექმნილი თვითეული წარმოება კაპროლაქტამის, კარბამიდის, მარგანეცის ორეანგისა და სხვათა მომავალი საამქროები დაუყოვნებლივ იწვევს კიდევ რაღაც ახალს, ძალზე პერსპექტიულს, თვალწინ გადაგვიშლის კიდევ უფრო წარმტაც შესაძლებლობებს.

კაპროლაქტამის წარმოებისთვის, რომლის საამქროები საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით პირველ რიგში ეწყობა ჩქარი ტემპებით, — საჭიროა გოგირდის მჟავა. მენდელეევის სახელობის სრულიად საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების თავმჯდომარის პროფესორ ვ. კაკაბაძის მოწმობით ჩვენს დროში გოგირდის მჟავა კოლოსალური რაოდენობითაა საჭირო. ის საფუძველია მთელი ქიმიური მრეწველობის, და სწორედ ამიტომ დეფიციტურია და ამასთანავე არატრანსპორტაბელურიც.

გამოსავალი მხოლოდ ერთია — გოგირდის მჟავას დამზადება ადგილობრივ უნდა მოგვარდეს, რესპუბლიკის ფარგლებში, სადაც ამისთვის ყველა საჭირო პირობა არსებობს. და როგორც კი დაიწყება გოგირდის მჟავას წარმოება, ერთბაშად შეგვიძლია ათეული ათასი ტონა აირი ავამოქმედოთ, რომელიც ამჟამად უბრალოდ იწვის და ნიავდება ბათუმის ნავთისგადამმუშავებელ ქარხანაში. ამ აირიდან მიიღებენ დიდი რაოდენობით სინთეტიკურ ბოჭკოებს, სპირტს და მრავალ სხვა ძვირფას პროდუქტს. ცნობილია, რომ ერთი ტონა ნავთობისგან, სხვა ყველაფრის გარდა, შეიძლება მივიღოთ ოთხასი კილოგრამი სხვადასხვა სინთეტიკური მასალა ტანსაცმელის, ფეხსაცმელის, ტრიკოტაჟისა და ხელოვნური ბეწვისთვის.

...დადიხარ აზოტის ქარხნის წყნარ, თითქმის უკაცრიელ საამქროებში, გებულობ, რა პროექტებს ამზადებენ მეცნიერები და ინჟინრები, რას დასტრიალებენ თავს მშენებლები, და წინანდელ გოცებას ემატება სიამაყის გრძნობა იმის გამო, რომ შენ მოქალაქე ხარ იმ ქვეყნის, სადაც ათეულობითაა ასეთი რუსთავები, ასეთი ქარხნები.

ქიმიის სამყაროში უკვე დაიწყო დიდი რევოლუცია!

ი. მუხაძე

ა. ხოროშევსკაია ფუთავს კოფეინს.

ბათუმის ქარხანაში

კოფეინი, როგორც შემადგენელი ნაწილი, ბევრ წამალში შედის. გარდა ამისა, იგი ძვირფასი საშუალებაა გულის სხვადასხვა დაავადების დროს. მაგრამ ბევრმა, ალბათ, არც კი იცის, რომ საბჭოთა კავშირში არის ერთადერთი საწარმო, რომელიც ამ ძვირფას პრეპარატს ამზადებს. ეს არის ბათუმის კოფეინის ქარხანა.

კოფეინს რამდენიმე მცენარე შეიცავს. ყველაზე მეტი რაოდენობით იგი ყავის მარცვლებში და ჩაიშია. პირველად კოფეინი ყავისაგან იქნა მიღებული 1820 წელს. ძირითადად ამ გზით წარმოებს მისი მიღება საზღვარგარეთ ამჟამადაც.

ჩვენში ყავის ხე არ ხარობს. მისი ექსპორტი კი ძვირი ჯდება. საბჭოთა მეცნიერებმა გადაწყვიტეს კოფეინი მიეღოთ ჩაის ნედლეულისაგან. შემუშავდა ჩაისაგან კოფეინის მიღების ტექნოლოგია. გადაწყდა, მისი წარმოება დაეწყოთ ბათუმის ბუნებრივი საღებავების დამამზადებელ ქარხანაში, სადაც მანამდე თუთის ხის მერქანიდან სხვადასხვა საღებავების დამზადება წარმოებდა. საქართველოში, მეაბრეშუმეობის განვითარებასთან დაკავშირებით, შეუძლებელი აღმოჩნდა თუთის ხის ამ მიზნით გამოყენება. საღებავების წარმოება შეწყდა, მაგრამ ქარხანამ მაინც განაგრძო მუშაობა: არსებულ მანქანა-მოწყობილობებს დაემატა მთელი რიგი სპეციალური დანადგარები და 1936 წელს ქარხანამ ნატურალური კოფეინის მზა პროდუქცია გამოუშვა.

სანამ მოთეთრო ფერის კოფეინის ფხვნილს მივიღებდეთ, ქარხნის საამქროებში მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესები წარმოებს.

როგორც ვთქვით, კოფეინს ჩაი შეიცავს. ყველაზე მეტია იგი ნორჩ ფოთლებში, რომლებისგანაც უმაღლესი ხარისხის სასმელ ჩაის ამზადებენ. ცხადია, ნორჩ ფოთლებს კოფეინის მისაღებად არ იყენებენ.

ადრე გაზაფხულზე ჩაის პლანტაციებში ბუჩქების გასხვლა წარმოებს. გასხლული ფოთლები და ღეროები წინათ უქმად იკარგებოდა, ახლა კი ახმობენ და ბათუმისაკენ გზავნიან. ამავე დროს ჩაის ფაბრიკებიდან მოდის ყოველგვარი ნარჩენი პროდუქცია. ხდება მათი ერთმანეთში შერევა. ნაერთი იტვირთება დიფუზორში — სპეციალურ ქვაბში, ესხმება წყალი და განსაზღვრული რეჟიმის მიხედვით იწყება ჩაის გამოხდა. ეს დაახლოებით იგივე პროცესია, როგორც პატარა ჩაიდანში ჩაის გამოხდა.

ნახარშში კოფეინის გარდა არის ტანინი, ეთერის ზეთი და სხვა ნაერთი. საჭიროა კი სუფთა კოფეინის მიღება.

შემდეგი პროცესი უკვე საექსტრაქციო ქვაბში მიმდინარეობს. აქ წვენს ასხამენ დიქლორეტანს, რომელიც კოფეინს შეიწოვს და ფსკერზე ეშვება. დიქლორეტანში გახსნილი კოფეინი სპეციალური მილით წყლიან ამაორთქლებელ აპარატში გადადის. ტემპერატურის ზეგავლენით ჯერ დიქლორეტანს აორთქლებენ, შემდეგ წყალსაც. ქიმიკატების საშუალებით კოფეინს გაწმენდენ, შემდეგ კი მიმდინარეობს მისი გაშრობა. და აი, პროდუქცია უკვე მზადაა. 100 კილოგრამი ნედლეულიდან მიიღება ერთ კილოგრამზე მეტი კოფეინი (1100 გრ.).

ინჟინერი-ქიმიკოსი გ. ჩიხლაძე ლაბორატორიაში.

ჩაის წვენში კოფეინის გარდა სხვა ნაერთიცაა. თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტის მუშაკებმა ამ ნარჩენისაგან, რომელსაც წინათ გამოყენება არ ჰქონდა, შეიმუშავეს თეალბინის მიღება. თეალბინმა წარმატებით შეცვალა ძვირადღირებული პრეპარატი ტანალბინი.

ბათუმის კოფეინის ქარხნიდან კოფეინი მიდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთაც. ქარხანა, უკვე რამდენიმე წელია, აწარმოებს პროდუქციის ექსპორტს — კოფეინს უგზავნის ევროპისა და აზიის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს.

ქარხნის პროდუქციაზე მოთხოვნილება დღითი დღე მატულობს. მიმდინარეობს საამქროს რეკონსტრუქცია, ტარდება ტექნოლოგიური სრულყოფის სამუშაოები.

მეექვსე ხუთწლედში ქარხანაში დიდი სამუშაოები განხორციელდება. აშენდება ახალი კორპუსები, საამქროებში დაინერგება კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

ხუთწლედის ბოლომდე აითვისებული იქნება ახალი სამკურნალო პრეპარატების წარმოება. გამოშვებული იქნება თვალის დაავადებათა სამკურნალო ალოე, ტკივილების გამაყუჩებელი პლაციფილინი, ომაინი, რომელიც კანის კიბოს წინააღმდეგ იხმარება და სხვ.

ქარხნის კოლექტივი თავდადებით შრომობს, რათა ღირსეული წვლილი შეიტანოს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეში.

ა. სამსონია
ნ. პატარაია

მონდო კუშულავა

უსათაურო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე რაც კი მქონდა შენზე სათქმელი,
სათქმელი რომლის მოსმენა ღირდა.
ვიმღერე ისე, რომ გულს სარქველი
ავხსენ და ის ხმა სიხარულს მგვრიდა.

დღეს კი მაგ შენი წამწამთ ხამხამი
არ მომწონს არა, ჰქრება ტრფიალი.
რა ვქნა, ვხედავ, რომ წაიღო ხანმა
ის გაფითრება, თრთოლვა, წრიალი.

რითაც მხიბლავდი, რითაც მიყვარდი,
კვლავ განახო?.. სევდით დავიბურები.
გფენია ჩემგან ია და ვარდი,
მშვიდობით, ნუღარ დამემდურები.

ოთარ კუპრავა

მაგონდება ქვიშხეთი

როცა თბილისს დეკემბრის
ქარი დაჰკრავს ფრთამალი, —
მაგონდება ქვიშხეთი,
მისი მთა და ტრამალი.

მაგონდება მთაწმინდა,
გრძნობა ანაღელვები,
ხიცილსა და დუმილში
გაფრენილი დღეები...

როცა ნაზი სიმღერა
ჩვენს გულს ძალას აძლევდა,
გახსოვს? ტყისკენ მივჭროდით
ვითომ კევის საძებრად.

გახსოვს? ჩუმად, უთქმელად
გული ტრფობით აძგერდა.
ღამით მთაზე ვიდექით,
ვითომ მთვარის საცქერლად.

იმ დღეს ხენიც ხარობდნენ
ქართან გაბაასებით.
გზაზე წვიმამ მოგვისწრო,
ჩიტებივით დავსველდით.

იჩქარეთო, — მოგვძახდა
ჩიტუნების ამალა...
შენი ცრემლის წვეთები
მაშინ წვიმამ დამალა...

სოფლის კინომექანიკოსი

ავტომძღოლმა გიგა ცუცელაშვილმა ერთ მშვენიერ... მაგრამ მოდით, შვენიერის ნაცვლად, დავარქვათ ამ დღის მნიშვნელოვანი დღე გიგას ცხოვრებაში... რადგან გიგამ ყველასთვის მოულოდნელად, შეალეწინა მოცელი ავტომანქანა სხვას გადაბარა და მეგობრად დაიწვა მუშაობა სოფლის კლუბში.

— აი, კინომექანიკობის პროფესია მეცხრე, მარილივ რომ ოკრიბლეთხა, — ამეკიცა გიგამ ქალაქი ფიქრი და მოსკენეზა დაკაკიცა. თბილისში სწავლის ეტიოდეზა, ყოფილი შოფერი ილიად დიდფაფა ტექნიკურად რიელ პროფესიას. წარმატებით დაამთავრა სასწავლებელი და სოფელში დაბრუნდა. პირველ ხანებში გიგამ სოფელ ბაკანის კლუბში დაიწყო კინომექანიკოად შუმაობა. ყოველდღე ნ კილომეტრის გავლა უხდებოდა ფეხით. მაგე მოძრავი კინოდანადგარი ჩანაბარები. ეკიკე დაშლილები. მაგრამ სახალხოა ოეი მუშაობა: კინოოფლებმა ჩვენ ნება მეგზეთიან კოლმეურნეობებში, შეეხოფალეთ ბის ფერმაშეი, სასოფლეურები მინდვრებზე „გიგას მანქანაო“ გამოჩენა ყველგან დიდ სიხარულს იწვევდა. ახალი კინოს მოტანისთვის მაღლიანი ახსენებდნენ ყველ კოლმეურნეები გიგას ფილმს ნახეთ ალტაცებულნი მაუურებლის ეკაკოოფილნი გიგას თავის ეირად ფაბსიერებად მიანნეს. სოფელი ეშალლეიეკეკეა გიგას. ულამაზესს ზრაოს, ბაბიას სცეს. ბავშეებს ხომ ბირველი ნოდან ფალეთ. კეფაში დაფლეფენ და ოოსეფენს ან ანდეკეენ: „აგიგა ბიგა, გიგა ბიგა, ფლეს რა კინოა, ბა? „ბაკეანანს ლურეკაბ“ კოფეე როლ ფალეანბენ?“

გიგა ჩუმი ეკი, ეერთის ზეეფეფთი, ბეფლაბრობანალი. ოეეეთიდან ეკამიბ.ბკეეს ხიბაროეანი თუ მეუბანრეანს. მაგრამ ფუნდ. ეკინანი ეი ფლ ფლეეეები, როცა ეაიეეო რომ მიხმა ზეეგირბეა — თეეეეზ ბეეეეზეოეეს ეკეეთ ეკეეთ ეკეეთ.



მოსაწვევი თენგონ ბეეეეზეოეი ფლ კინომექანიკოსი გიგა ცუცელაშეილი (მარცეენეზ).

სპეციალური ყანა

ბორის ჩხეთია

ეემიშმხბანილეეს ბეეეი მინდორი აკეთ ალოანხოს ეიეეეზ, ეშიიაეეი და ეიეოს ნანიალეზ. თეეეიფეეეეს ყანეეი ხეერიდ ფლ მინდორეეზ ეეეე

კახეთელის ყვავილების კრებული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1958 წლის 30 აპრილიდან 12 მაისამდე მოსკოვში, გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საგამოფენო პავილიონში, მოეწყო გაზაფხულის ყვავილების საკავშირო გამოფენა. ამ პავილიონში გასულ წელს მოეწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ადრე კი — ჰოლანდიის ყვავილების გამოფენა.

წელს გამოფენაში მონაწილეობას იღებდნენ რიგის, ტალინის, ლენინგრადის, მოსკოვის, კიევისა და თბილისის მეყვავილეები. სულ გამოფენაში მონაწილეობდა 30-დე მეყვავილეობის მეურნეობა.

ეს გამოფენა წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეყვავილეთა ანგარიშს. ამასთან ერთად, გაზაფხულის ყვავილების გამოფენა იყო გენერალური რეპეტიცია იმ მსოფლიო გამოფენისათვის, რომელიც 1959 წლის გაზაფხულზე პარიზში ეწყობა.

მეტად ფართო პროდუქციით იყო წარმოდგენილი გამოფენაზე ბალტიისპირეთის რესპუბლიკათა საყვავილე მეურნეობები. საერთო ყურადღებას იწვევდა ქალაქ რიგის ექსპონატები: ვარდი, ნახევარ მეტრზე მეტი სიგრძის ტოტებზე, იშვიათი ფორმისა და შეფერვის ფურუსულები და მოზრდილი კალა. რიგელებმა გამოფენაზე აჩვენეს მეყვავილეობის მაღალი კულტურა.

მოსკოვის საყვავილე მეურნეობებიდან სახეობათა და ჯიშთა მრავალრიცხოვანი ექსპონატებით იყო წარმოდგენილი იზმაილოვისა და ოსტანკინოს მეურნეობები. უზარმაზარი ჰორტენზიები და უხვყვავილა შტამბიანი აზალიები, ლევკოიონი და ყოჩივარდა ამშვენებდა გამოფენის მთავარ დარბაზს.

ძველ სამრეწველო ჯიშებთან ერთად, აქ მრავლად იყო გამოფენილი, როგორც საბჭოთა, ასევე უცხოეთის ქვეყნების სელექციის ახალი ჯიშები.

რამდენიმე საერთაშორისო გამოფენის მონაწილე მეყვავილე ვ. ს. კალაშნიკოვის დიდ დამსახურებას მიეწერება ლენინგრადის სტენდებზე წარმოდგენილი მოლურჯო იისფერყვავილება ჰორტენზია, აქ ფართოდ იყო გამოფენილი მრავალი ფორმისა და ფერის კალცეოლარია, ფურუსულები, თეთრად გადაპენტილი ბუთხუზა ყვავილებიანი ლევკოიონი და სხვა.

გამოფენაზე წამყვანი ადგილი ეჭირა თბილისის სტენდს.

საქართველოს ფლორის გაზაფხულის პირველი მახარობლები ამშვენებდნენ ჩვენს გამოფენას. მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან მცენარეთა შერჩევით, ურთიერთ შეხამებით და მხატვრული განლაგებით მიღწეული იყო ჩვენი სტენდის თვალწარმტაცი სურათი. მზიური საქართველოს პეიზაჟების, მთებისა და ველების წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა იგი მნახველებზე.

მრავალნაირი ყვავილები, ლასტები, კალათები, სოკოები, დახავსული ტოტები და ქვები შესანიშნავად იყო გამოფენილი, ყოველ მასალას მიჩნეული ჰქონდა ზუსტად გაანგარიშებული მხატვრული ადგილი.

გამოფენა დაათვალიერა ასი ათასზე მეტმა მნახველმა. დემოკრატიული ქვეყნებისა და უცხოეთის წარმომადგენლებმა.

საქართველო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ფლორით. გაზაფხულის ყვავილებიდან თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ქართულ ზამბახს, ხარისძირას, ლალას, იას, ფურუსულას, თეთრ ყვავილას, შროშანას, ყაზახას და სხვა.

ცნობილია, რომ საქართველოს ფლორის სილამაზე იისფერ-წითელ ყვავილიუელიას ფურუსულა, კავკასიური მაჩიტა, მტრედისფერ ყვავილებიანი ლაგოდეხის გენციანა, ლალა და სხვა ევროპის ცნობილ მეყვავილეობის ფირმებს შეტანილი აქვთ კატალოგებში (1939-40 წლ.), როგორც „პირველხარისხოვანი სიახლე".

საერთო აღფრთოვანებას იწვევდა ბევრი მოსკოველისათვის უცხო ყვავილი — ქართული ზამბახი, ძველად უცხოელებმა ჩვენი ქართული ზამბახი ისე დიდი რაოდენობით გაზიდეს, რომ სრულ მოსპობამდე მიიყვანეს.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატების ნ. კახელაძის, ბ. გავრილენკოს და დოკ. ა. კ. მაყაშვილის ხელმძღვანელობით არა თუ გადაარჩინეს განადგურებას, არამედ ხელოვნური შეჯვარების შედეგად მიიღეს ახალი და უფრო გაუმჯობესებული ჰიბრიდული ფორმებიც.

ქართული ზამბახის ყვავილი 10 სმ. სიგრძეს აღწევს, მისი ყვავილსაფარის ზევით ახრილ სამ ფურცელს ბამბასავით თეთრი, იისფერი ან ბაცი პირისფერი დაჰკრავს.

ველის იორდასსალამი, ანუ ლალა, საკმაოდ მოზრდილი ლალისფერი ყვავილებით და წვრილი ნაზი ფოთლებით ჩვენს გამოფენას ამშვენებდა.

ათასობით მნახველი დაბრიალა ჩვენი შროშანების და იის სურნელების შესაყნოსად. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც საჩუქრად მიიღებდნენ ან ღილის კილოზე დაუბნევდნენ შროშანას, იას, იასამანს, ვარდს, ტიტას და სხვა ყვავილებს, რასაც ჩვენი გამოფენა ყოველდღიურად ათასობით იღებდა თვითმფრინავით საქართველოდან.

სიდიდით და სილამაზით ჩვენი ყვავილები ვერ შეედრებოდა რიგის, მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების ყვავილებს, მაგრამ, კვეხნა რა საჭიროა, არც ერთი ყვავილი არ იყო ისეთი სურნელოვანი, როგორც საქართველოს ვარდები, იასამანი, მიხაკი და სხვა.

1897 წელს ნაფარეულის საუფლისწულო მამულში ბულგარელი ვ. კუშლევი მის მიერ გაშენებულ ვარდის პლანტაციის შესახებ სწერდა: ასეთი სურნელოვანი ვარდი, როგორიც აქ, კახეთშია, სხვაგან არ შემხვედრიაო.

ჩვენი ტყეების ადრე გაზაფხულის მახარობლები ხარისძირა, თეთრყვავილა, საუცხო სურნელების მქონე შროშანები, ქვებში ჩარგული კლდის დუმა, კლდის ხორცა და ლაგოდეხის ნაკრძალში დამზადებული ხავსები საქართველოს ლამაზი ბუნების ფრაგმენტებს ჰქმნიდნენ.

სოხუმიდან მიღებული ველური ხანჯალა, რომელიც ათი დღის განმავლობაში ლასტზე იყო მიკრული ნირი არ შეუცვლია და თავისი მყვირალა წითელი ფერით შესანიშნავად გამოიყურებოდა სტენდის ყველაზე შორი ადგილიდან.

გერბერა წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა მნახველებზე. ეს იშვიათი სილამაზის ყვავილები ძლიერ მოსწონდა ი. ბ. სტალინს.

მისაღებ დიდ დარბაზში გამოფენილი ქართული კერამიკის ნიმუშები და, განსაკუთრებით, საყვავილე ლარნაკები აღტაცებასთან ერთად იწვევდა საყვედურებს — „რატომ დიდი რაოდენობით არ ჩამოიტანეთ მოსკოვის მოსახლეობაზე გასაცემად?"

მრავალი ფირმის, საუცხოოდ მოქარგული ან მოხატული ლარნაკები, სურები, ფიალა, დოქი, მარანი, 200-ზე მეტი ექსპონატი შერჩეული იყო მოსკოვში გასაგზავნად პროფესორ ალ. ფიცხელაურისა და სახალხო მხატვრის ლ. გუდიაშვილის მიერ. მცენარეებით მორთული ქართული სუფრის სამაყო ორიგინალური ღვინის სასმისი „მარანი" ყვავილების საუკეთესო ლარნაკის შთაბეჭდილებას ახდენდა.

ბოლო ფურცელი

გამოფენისათვის ექსპონატები შეგროვდა საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში. გამოფენის წარმატებით მოწყობისათვის საკმაოდ დიდი სამზადისი ჩაატარა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, პროფესორმა ნ. ნ. კეცხოველმა, მან მოგვცა ასორტიმენტი, გამოფენის ძირითადი გეგმა და ექსპონატთა შეგროვება დაავალა ყველა ბოტანიკურ ბაღს.

ყვავილობის ვადების შესანარჩუნებლად ბოტანიკურ ბაღებს მიეცათ მითითება გამოეყენებინათ მაცივრები.

ექსპონატებს აგზავნიდა, როგორც სამეცნიერო დაწესებულებები, აგრეთვე, საქართველოს ქალაქების გამწვანების მეურნეობის ტრესტები, საყვავილე მეურნეობები და ინდივიდუალური მეყვავილეები.

საქართველოს ყვავილების გამოფენის ასეთ მიღწევებს დიდად შეუწყო ხელი გამოფენის მომწყობი კომისიის წევრმა კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ და მთავარმა ინჟინერმა ამხ. ვ. კუკულავამ, მეყვავილე დეკორატორმა მ. მამულაშვილმა, ინსტიტუტ „ქალაქ-პროექტის" არქიტექტორებმა — ნ ციცაშვილმა, თ. კანდელაკმა და ს. ბაქრაძემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ბაღის და ბოტანიკის ინსტიტუტის მეცხიერ-მუშაკებმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატებმა თ. დუმბაძემ და ბ. გავრილენკომ, არანჟერებისა და ყვავილწყლების ოსტატებმა მ. არუთინოვმა, გ. თოხაძემ, ფ. ოშოყმაშვილმა, პ. რონჩიკმა, მხატვარმა ს. სულავამ და სხვებმა.

თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ თბილისის სტენდს, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე უცხოეთის მნახველები, ამის შესახებ შეიძლება წაიკითხოთ იმ მოსაზრებების ზოგიერთი საგულისხმო ნაწილი, რომელიც გამოთქმულია გამოფენის „შთაბეჭდილებათა წიგნში" (ასეთი წიგნი 13 დღის განმავლობაში 6 ცალი შეივსო).

მოგვყავს რამდენიმე ჩანაწერი:

„გამოფენისგან მიღებული შთაბეჭდილება, საერთოდ, შესანიშნავია. თბილისელმა მხატვრებმა შექმნეს გაფორმების საკვირველება. ასე რომ მოაწყო გამოფენა, უნდა გქონდეს უდიდესი და არაჩვეულებრივი მოსიყვარულე სული შენი სამშობლოსი, შენი ბუნებისა.

ყოველი კუთხე, ყვავილების კალათები, თაიგულები, ნაყიფები, ხავსი, სოკო თუ ტოტები, ისე ლამაზადაა მოწყობილი, რომ გინდა ჩაიბეჭდო გულში, მუდამ გახსოვდეს იგი და ეს სილამაზე შესაძლებლობის ფარგლებში გადასცე სხვებსაც.

სულით და გულით გიხდით მადლობას, ნიჭიერო მხატვრებო! საჭიროა ეს იშვიათი სურათები გადაიღონ ღია ბარათებისათვის".

„გაზაფხულის ყვავილების გამოფენა მოსკოვში პირველი მაისის დღესასწაულის გაგრძელებაა, თბილისის სტენდი კი — ქართული დეკადის გაგრძელება".

„ულრმესი მადლობა თბილისელებს, უდიდესი ესთეტიური სიამოვნებისათვის, რაც თქვენი სტენდის ნახვით განვიცადეთ".

„ყვავილების გამოფენით ვრწმუნდები, რომ ყვავილი არა მარტო სილამაზის, სიმდიდრისა და სიამოვნების სიმბოლოა, იგი ნიშნავს მსოფლიოს მშვიდობას".

„თბილისის სტენდი უნდა ნახოს ყველა ჩვენი პარკის დირექტორმა. ჩვენთან უყვართ პარკთმშენებლობაში გამოყენება დიდძალი გრანიტის, მარმარილოსი და თუჯის სხმულის. ნამდვილად კი თურმე შესაძლებელი ყოფილა თიხის ქოთნის ნატეხებით, ლასტებით, დახავსებული ხის ტოტებით, ბუნებრივი ქვებით მიაღწიო გაცილებით მეტ ეფექტს და ხალხს მისცე მეტი სიამოვნება. ასეთი გაფორმება უფრო მეტად შეუწყობს ხელს მშრომელთა დასვენებას, ვიდრე გრანიტისა და მარმარილოს მასიური ნაგებობები".

წიგნში მრავალი შთაბეჭდილებაა ჩაწერილი სახელგანთქმული ბუნების მესაიდუმლის მეგაღე-მხატვრის მიხეილ მამულაშვილის მისამართით, რომლის ექსპონატები და, განსაკუთრებით, მისი მხატვრული ჰერბარიუმი საერთო აღტაცებას იწვევდა.

მოსკოვში გაზაფხულის ყვავილების გამოფენის კომისიის თავმჯდომარემ მოსკოვის გამწვანების სამმართველოს უფროსმა, ამხ. პ. პ. ვოლკოვმა (იგი ამავე დროს არის პარიზში საერთაშორისო ყვავილების გამოფენის ორგკომიტეტის წევრი) განაცხადა: „თბილისელებმა ჩვენ მოგვცეს ტონი, თუ როგორ უნდა მოეწყოს პარიზში საბჭოთა ყვავილების ჩვენება".

გაზაფხულის ყვავილების გამოფენის ეიურიმ ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ნ. ა. ბაზილევსკაიას თავმჯდომარეობით თბილისელ მეყვავილეთა ექსპოზიცია დაჯილდოვა პირველი ხარისხის დიპლომით.

ქართველი მეყვავილეები ამჟამად უდიდესი პასუხისმგებლობით ემზადებიან პარიზის გამოფენისათვის.

ი. ხმალაძე

ქ. თბილისის გამწვანების მეურნეობის ტრესტის მთავარი აგრონომი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ავტომშენებლ ო ბ ა შ ი

პლასტმასების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს ავტომობილების წონა, გადიდდეს ტვირთზიდვა, შემცირდეს საწვავის, საცხებისა და რეზინის ხარჯვა.

ნავთის ქიმიურად გადამუშავების შედეგად 500-მდე სხვადასხვა სახის პროდუქტის მიღება შეიძლება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(ბაზაფხულის ყვავილების გამოფენის თბილისის სტენდი.)

ბაზაფხულის ყვავილების გამოფენის მოაკარი დარბაზი.



ახალი ფილმი

კიდევ ერთი ახალი ქართული ფილმი ნახა მაყურებელმა ეკრანზე. ეს არის ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორის თენგიზ აბულაძის პირველი დამოუკიდებელი სურათი — „ხვეული შვილები“ (სცენარი რ. ჯაფარიძის და თ. აბულაძისა. ოპერატორი ლ. პაატაშვილი, კომპოზიტორი ა. კერესელიძე). ფილმს დიდი წარმატება ხვდა წილად. იგი წარდგენილია აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინო-ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანები და ადამიანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ წულეისკირი

ჩანახატები მხატვარ ია. თოროიძისა

ალექსანდრე მარგველაშვილი, კონსტანტინე ილურიძე, ლევან მარღიშვილი, კონსტანტინე ტიმოფეევი, დავით აბუთიძე — ეს სახელები ხშირად გვსმენია, ზოგიერთი მათგანის სურათიც კი გვინახავს გაზეთებში. ესენი სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მოწინავე ადამიანები არიან. ალექსანდრე მარგველაშვილი მექანო-დამკომპლექტებელი საამქროს მოწინავე მუშაა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქერა ბიჭი, მაღალ-მაღალი, ვაჟკაცური. კონსტანტინე ილურიძე მჭედელია, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ალექსანდრე მარღიშვილი — მექვაბე, კონსტანტინე ტიმოფეევი — ხარატი, ძველი რევოლუციონერი, უხუცესი მუშა. დავით აბუთიძე — სიცოცხლით სავსე, მტკიცე ხასიათის ახალგაზრდაა, ინჟინერი, პარტიული კომიტეტის მდივანი.

ერთ-ერთზე გიამბობთ. ყველა მათგანი ჩვენი გმირული დღეების შვილია, ჩვენი საზოგადოების მოწინავე რაზმის, მუშათა კლასის რიგებშია ჩამოყალიბებული და დაკაცებული. ამიტომაც ისინი ერთმანეთს ჰგვანან.

ავიღოთ თუნდაც დავით აბუთიძე...

როცა ეს კაცი პირველად გავიცანი, უნებლიეთ ერთი ჩემი ნაცნობი გამახსენდა. ის ჩემი ნაცნობი ჩვეულებრივი თანამედროვე ახალგაზრდაა, ისეთივე, როგორც... აი, თუნდაც მე, დარდი და მწუხარება არ იცის. რამდენჯერ განსაცდელში ჩავარდნილა, ცხოვრების სიმწარე უგემნია, მაგრამ წარბიც არ შეურხევია, სხვა მის ადგილას, ალბათ, აწრიალდებოდა, აშფოთდებოდა, იმ დღეს აუჯანყდებოდა და შეიძლება ხვალინდელი დღისთვისაც იუბვით შეეხედა.

ეს ჩემი ნაცნობი გამახსენა-მეთქი დავით აბუთიძემ...

დავითს ბიოგრაფია რთული არა აქვს. თბილისშია დაბადებული და გაზრდილი. თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი დაამთავრა. შემდეგ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მუშაობდა ოსტატად, მალე ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს, შემდეგ პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ დაწინაურეს და, ბოლოს, კომიტეტის მდივნად წამოაყენეს ქარხნის მუშებმა.

მთელი გატაცებით შეუდგა დავითი მუშაობას. სამიათასიან კოლექტივს სათავეში ჩაუდგა, დარაზმა იგი და გაუძღვა, ისე როგორც ამას ქარხნის ყოფილი პარტიული ხელმძღვანელები აკეთებდნენ. ქარხანას პარტიული მუშაობის შესანიშნავი ტრადიციები ჰქონდა, და დავითს უნდა გაეგრძელებინა იგი.

პირველი დღეები მეტად საპასუხისმგებლო და საფრთხილო იყო.

— მაღალი საწარმოო მაჩვენებლები, აი, რა არის უმთავრესი — ამბობდა დავითი კომიტეტის სხდომებზე — ჩვენ წუწუნისა და მცონარობის დრო არა გვაქვს.

მართლაც, ყოველი დღე ახალი გამარჯვებების მომტანი იყო „პევერზელებისათვის", ეს ასე იყო ოდითგანვე, ქარხნის არსებობის 75 წლის მანძილზე და სხვაგვარად არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. პირველმა წლებმა პირველი წარმატებები მოუპოვა პარტკომის ახალ მდივანს; სამჭედლო საამქროში შრომითი მამაცობის მაგალითებს იძლეოდა კონსტანტინე ილურიძე, ამწყობი საამქროს მექვაბის ლევან მარღიშვილის სახელი ყველას პირზე ეკერა. გეგმას მუდამ გადაჭარბებით ასრულებდა ილია იმერლიშვილის საამქრო, მაგრამ დავითს ახლა ერთი დიდი საფიქრალი ჰქონდა, მხეხავთა ბრიგადაში ვერ იყო საქმე კარგად. ბრიგადის წევრები შოთა ამბოკაძე, რაჟდენ გალუსტაშვილი, მანუელ მნაცაკანოვი და კიდევ ზოგიერთი სხვა, საამქროს უფროსს აბუჩად იგდებდნენ, სისტემატურად სვამდნენ და უდიერად იქცეოდნენ, — რა გინდათ ჩემგან! ვის რას ვუშავებ, მთელი დღე მაზუთში და ნახშირში ვარ ამოგანგლული ახალგაზრდა კაცი! — გაისმა ერთ დღეს პარტიულ კომიტეტში შოთა ამბოკაძის ხმა — თავი დამანებეთ, თუ ღმერთი გწამთ, მე არ ვქეიფობ, მე მხოლოდ ვთვრები და მირჩევნია ისე დავთვრე, არასოდეს გამოვფხიზლდე...

— აი, ეს მინდა სწორედ, შოთა, მითხარი, რაშია საქმე, რად გირჩევნია სულ მთვრალი იყო, რა გაწუხებს, საჩხუბრად კი არ დამიბარებიხარ, შე კაცო, დამშვიდდი, დაწყნარდი, — დაუყვავა დავითმა.

— ეე!.. დამიწყო ახლა ამან აგიტაცია...

— ცოტა წესიერად მოიქეცი! — გაბრაზდა დავითი, ხმას აუწია, ხელი აუკანკალდა.

— ხახვი არ დამაჭრა! — უფრო ხმამაღლა შეაგება შოთამ, შემოტრიალდა და კარებისკენ გაემართა.

— მოიცა!..

შოთამ კარები მოურახუნა და წავიდა.

„როგორ მოვექცე ამ კაცს?" „რა ვუყო?"... ამის შესახებ დირექტორს ესაუბრა, პარტიული კომიტეტის სხდომაზე გაიტანა საკითხი. გამოირკვა: ცოლთან ჰქონია უკმაყოფილება შოთას და ოჯახის მიტოვებას აპირებდა თურმე. ამ უკმაყოფილების მიზეზებსაც მისდია დავითმა.

შოთა ნაქირავებ ოთახში ცხოვრობდა სარდაფში, არავინ ჰყავდა დამხმარე და ხელის გამწვდენი, გარდა საკუთარი მარჯვენისა. როგორც შოთა იყო ცარიელ-ტარიელი, ასევე მისი ცოლიც, საჭირო იყო ბევრი რამ, რათა შეექმნათ ოჯახი.

შოთა პირველი სიძნელისთანავე დაიბნა, ვერ გაუძლო და იოლი გზა აირჩია, გადაწყვიტა ოჯახისათვის თავი დაენებებინა და ტვირთი მოეცილებინა.

დავითი პირადად ჩაერია საქმეში. მისი ინიციატივით ქარხნის კოლექტივმა შოთას როგორც მორალური, ისე ეკონომიური დახმარებაც გაუწია, დააკმაყოფილა იგი ბინით, ყველა პირობა შეუქმნა ნორმალური ცხოვრებისათვის. „ახლა შოთა ყველგან კარგია, შინაც და გარეთაც". კმაყოფილებით ამბობს ხოლმე დავითი. მაგრამ რაჟდენ გალუსტაშვილს? რაჟდენს რა ეშველება?..

ეს კაცი სულ სხვაგვარია, თავნება, უხეში, ფეხებზე კიდია ქვეყანა. თავიდანვე არეული ცხოვრება ჰქონია, ნაცხარია. მთელი სხეული ნაჭრილობევებითა აქვს სავსე. ქარხნის ტერიტორიას როგორც კი გაცილდება ძმრიანი თევზითა და არაყით გამოიბუჟება, მერე მიბანცალებს და მიდის სადღაც... ახალგაზრდებში გავლენა აქვს, ზოგს ეშინია, ზოგს იგი გმირად მიაჩნია. ახლახან საამქროს უფროსს ჩაქუჩი მოუქნია, რამაც აღაშფოთა ქარხნის მუშები და მას სასწრაფოდ ამხანაგური სასამართლო მოუწყეს. მუშებმა ერთხმად დაადგინეს, გაეძევებინათ რაჟდენი ქარხნიდან. იმ დღეს სასამართლოზე დავითიც იჯდა და ამ ამბავს შესცქეროდა, რა საცოდავი იყო რაჟდენი! ეს ქედმაღალი, დიდგული ადამიანი, დაპატარავებულიყო,

პარტორგანიზაციის მდივანი დ. აბუთიძე.

ხარატი ა. მარგველაშვილი



სავაგონო საამქროს ოსტატი
გ. პირკულაშვილი

სავაგონო საამქროს გადამკვრელი
ა. ხუციშვილი.

დაჩიავებულიყო, დაუძლურებულიყო და ჭიასავით ჩანდა კოლექტივის წინაშე! გამოდიოდნენ ქარხნის მოწინავე მუშები და მგზნებარედ ლაპარაკობდნენ ამ უღირსსა და გზასაცდენილ ადამიანზე. ისინი მტკიცედ მოითხოვდნენ, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა რაჟდენს ქარხანა. მათ მისი ცუდაცობის სხვა ფაქტებიც მოჰყავდათ.

„რა უნდა ქნას ახლა ამ კაცმა“—ფიქრობდა დავითი,— „ქარხნიდან წავა თუ არა, ალბათ, ისევ ბნელ საქმეებს მიჰყოფს ხელს, ისევ ციხეში ჩავარდება, სულ დაიღუპება ეს ბედდავსილი“.

— ჰა, ილია, შენ რას იტყვი, გავაგდოთ რაჟდენი ქარხნიდან, თუ?.. — გადაულაპარაკა დავითმა საჩამოსხმელო საამქროს უფროსს, რომელიც ყურადღებათ შესცქეროდა „მოსამართლეს“ — იქნებ სხვა რამ გვეღონა, ცოდვაა, სულ დაიღუპება კაცი.

— მეც ეს უნდა მეთქვა ახლა შენთვის, დავით, შემებრალა ეს ღმერთგამწყარალი, ხომ იცი შენ...

— მაშ, გამოვიდე?..

— გამოდი, მაგრამ ყოჩაღად, შესაძლოა გაგანადგურონ.

— შენც უნდა დამეხმარო.

— კი, მეც გამოვალ.

შემდეგ დიდხანს იბრძოდნენ დავითი და ილია, რათა რაჟდენი დაეტოვებინათ ქარხანაში. პარტიულმა ორგანიზაციამ შუამდგომლობა გაუწია და რაჟდენი პირობით დატოვეს. ამდენი მღელვარება არასოდეს განუცდია რაჟდენს, რამდენი სასამართლო და ციხე უნახავს, მაგრამ „ეს რა მიქნეს, ეს რა მიქნესო“ მიდუდუნებდა და მიდიოდა სახლისაკენ იმ საღამოს. „ეს სასამართლო ყველა სასამართლოზე ძლიერი იყოო, მე ტირილი მინდოდაო, მე დამაბნიეს და გამაფუჭესო, მაშინ როცა, ფაქტიურად, არაფერი ხდებოდა, არც ციხე მელოდა და არც გადასახლებაო, დალახვროს ეშმაკმა, ქარხანა მართლაც სხვა რამ მახინა ყოფილაო“ ასე იგონებს რაჟდენი იმ სასამართლოს. დავითი კი მას შემდეგ, მუდამ ყურადღებით ადევნებს თვალს მის საქმიანობას.

არ არის კმაყოფილი დავითი, მართალია რაჟდენი საგრძნობლად გამოსწორდა, მაგრამ ზოგჯერ მაინც გამოავლენს ხოლმე ავ თვისებებს, რაც მას ბავშვობიდან ცუდი აღზრდის შედეგად აქვს შეძენილი. არა, დავითი მას არ მოეშვება, ვიდრე სრულიად არ გამოსწორდება და მოწინავეთა რიგებში არ ჩადგება.

„უპირველესი ჩემი საქმე ადამიანებიაო“ ამბობს ხოლმე დავითი. მეყალიბე რომაა ოთარ გოგოჩაშვილი, მარჯვე ბიჭი, მოწინავე, მისი საქმე სასაცილოც იყო და სატირალიც იგი საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. ახლახან ცოლი ითხოვა და მის ბინაში გადავიდა. გადასვლა ერთია, მაგრამ მილიციამ ბარემ სამჯერ დაჯარიმა ამ გადასვლისთვის.

— ჩამწერეთ, ბატონო, და არ ვიქნები ჩაუწერავი! — აყვირდა ბოლოს ოთარი მილიციაში.

— ნუ ყვირიხარ, მოქალაქე, ადგილი არ არის იმ ბინაში და ვერ ჩაგწერთ,—მშვიდად განაცხადა საპასპორტო მაგიდის უფროსმა.

— კაცო, ჩაუწერავი ხართო და მაჯარიმებთ, გეუბნებით, ჩამწერეთ-მეთქი და არ მწერთ, საერთო საცხოვრებელში ხომ ვერ წავიყვან ცოლს, როგორ მოვიქცე, გავეყარო?

— მოქალაქე, აქ მმაჩის ბიურო არ არის, ეს საპასპორტო განყოფილებაა, კითხვა უნდა იცოდე, კარებზე აწერია,—ცივად გაისტუმრა ოთარი მილიციის თანამშრომელმა.

კანონი კანონია, ხომ არ დაარღვევდნენ კანონს, მართალი იყვნენ მილიციაში, ოთარიც არ იყო მტყუანი. ბოლოს ოთარმა დავითს უამბო სიცილით, რომ ცოლს უნდა გაყროდა. აუხსნა მდგომარეობა. „თბილისიდან უნდა წავიდე, მართლა ხომ არ გავეყრები ცოლსო“. დიდი ხლაფორთისა და დავიდარაბის შემდეგ დავითმა

ვალე ბობოსიძე

კომუნისტურ პარტიას

შენ შემოგწირე გრძნობები წმინდა,
ნათელი აზრის სიტყვა და ბგერაც;
წრფელი ლექსებით გიმღერო მინდა,
შენი გზისა და სიმართლის მგალობელ.

ნუ შემადარებ გულზვიად შვილებს,
მცირეს ვიკმარებ, არ მინდა ბევრი;
მით ტვირთს და ჭაპანს გაგიადვილებ, —
ოღონდ დავთრგუნოთ საერთო მტერი!

ჩემი ოცნება და გული წმინდა
შენ შემოგწირე, საბჭოთა ხალხო,
შენ გიმღეროდი და კვლავაც მინდა
შენი დროშების ზეიმი ვნახო,
უკვდავო ხალხო!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოახერხა ჩაეწერათ ოთარი. ყველასთვის ასე ზრუნავს იგი, აბა, კითხეთ ქარხნის მოწინავე მუშებს გურგენ სადაღაშვილს, შოთა გოგიაშვილს, სოლომონ ბლიაძეს და სხვებს კიდევ, როგორ ძმასავით უდგას მათ მხარში ჭირშიც და ლხინშიც.

— მიწის შემაზავებელი წისქვილის შეკეთება უნდა დააჩქაროთ, სხვა გზა არ არის, საამქრო გაჩერებულია, არ შეიძლება — გააფრთხილებს დავითი სამონტაჟო საამქროს უფროსს.

— კი მაგრამ ამწყობი საამქროს სამუშაოები რომ გვაქვს?

— ეს უფრო აუცილებელია, ეს უნდა გაკეთდეს...

ორ დღეში საჩამოსხმელო საამქროს უკვე აქვს მიწის შემზავებელი წისქვილი.

სატრანსპორტო განყოფილების პარტბიურო სუსტად მუშაობს — მისი საკითხი დგას პარტიული კომიტეტის სხდომაზე, ნაკლოვანებების მიზეზების გამოაშკარავება და მის წინააღმდეგ ბრძოლა, საქმიანი შენიშვნები, კონკრეტული დახმარება — ასე წარმართავს დავითი სხდომას.

მომარაგების საქმე ცუდადაა, საჩამოსხმელო საამქროს არა აქვს თუჯის ჯართი, უნდა „შეანჯღრიონ“ ქარხნის კომერციული დირექტორი.

ასეა ყოველი დღე...

დილიდან ქარხანაში ტრიალებს დავითი, საამქროებში რომ ჩამოივლის ყველას რაღაცას კითხავს, რა უჭირთ, რა უნდათ, როგორ მუშაობენ, გეგმების საქმე როგორაა, საკუთარი ხუთი თითივით იცის ყველა საამქრო.

დღე არ იქნება რამე დიდი წამოწყება, დიდი საქმე არ აფიქრებდეს და არ აღელვებდეს, ამას წინათ იყო სწორედ, გორის რაიონის სოფელ ბერშუეთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დიმიტრი დათიაშვილი ესტუმრა. „სოფელს წყალი არა აქვსო, წყალს ორი კილომეტრიდან ვეზიდებითო, დაგვეხმარეთო, წყლის გამოყვანა გვინდა და მილები გაგვიკეთეთო“. მეორე დღეს ქარხნის დელეგაცია ბერშუეთში იყო. შეისწავლეს, როგორ და რა უნდა გაეკეთებინათ. რა იყო საჭირო და რამდენი. კმაყოფილებით გამოაცილეს ბერშუეთელებმა „პევერზელები“, თავის მხრივ დახმარება აღუთქვეს. სულ მალე მათ ქარხანაში მოიტანეს ხორცი, ყველი, ღვინო, ხილი და ნახევარ ფასში მიჰყიდეს მეგობრებს. ასე ჩაეყარა საფუძველი ქარხნისა და კოლმეურნეობის მეგობრობას.

გაბრიელ მაცაბერიძე, მიხეილ კბილაძე, ილია იმერლიშვილი, ალექსანდრე მარგველაშვილი, გრიგოლ კაჭკაჭიშვილი, აი, ის ადამიანები, რომელნიც დავითთან ერთად დღე და ღამეს ასწორებენ რათა მეტი პროდუქცია მისცენ სამშობლოს, დაიცვან ქარხნის შესანიშნავი ტრადიციები.

75 წელია „პევერზელები“ მოდიან ამ გზაზე — გადიან მშფოთვარე დღეები და ახალი დღეები ადამიანებივით იბადებიან. შრომაში და ფიქრში გადის ყოველი დღე და ახალი დღე თენდება უფრო ნათელი და დიადი.

ეკატერინე გაბაშვილი და... ფონ-კლევე

(ქართული პრესის ისტორიის ერთი ფურცელი)

საარქივო საქმე, რომელიც ქართული პრესის ისტორიის ერთ ფურცელს შეიცავს, გვიამბობს მწერალი ქალის ეკატერინე გაბაშვილის მოღვაწეობის ერთი მხარის შესახებ. ეს საქმე დაწყებულა 1887 წლის 26 ოქტომბერს და დამთავრებულა მისი მომდევნო წლის 16 თებერვალს. ახლა იგი საქართველოს ცენტრალურ არქივში ინახება (ფონდი 12, № 339) და კანცელარული სიზუსტითა და სტილით გადმოგვცემს ქართველი საზოგადოების მუშაობის საშინელი პირობების შესახებ ძველად, როცა ქართველ მწერალთა დიდ მოქალაქეობრივ და პედაგოგიურ ზრახვებს უხეშად სპობდა მეფისდროინდელი რუსეთის ჩინოვნიკური რეჟიმი.

1887 წლის 22 ოქტომბერს ეკატერინე გაბაშვილს თხოვნა დაუწერია მთავარსამმართველოს კანცელარიის მართველის სახელზე და ნებართვა უთხოვნია ყოველთვიური დასურათებული საბავშვო ჟურნალის გამოცემისათვის. ჟურნალის სახელი უნდა ყოფილიყო „ხომლი“. თხოვნას დართული პროგრამა აჩვენებს, თუ რა სურვილები ამოქმედებდა მაშინდელ ქართველ საზოგადოებასა და კერძოდ ეკ. გაბაშვილს.

იმ ხანებში ქართველი მოზარდებისთვის მათი ასაკის შესაფერი გამოცემა აღარ არსებობდა. ამიტომ დაისვა საკითხი ახალი ჟურნალის დაარსებისა, რომელიც იკისრებდა მშობლიურ ენაზე სკოლამდელი ქართველი ბავშვების გონების აღზრდა-განვითარებას. ეკ. გაბაშვილის მიერ შედგენილი პროგრამა მრავალფეროვანია; გარკვეულად შეიძლება ითქვას, რომ იგი ემყარება ი. გოგებაშვილისა და ი. ჭავჭავაძის ესთეტურ-პედაგოგიურ იდეებს.

თხოვნას ჟურნალის დაარსებაზე ხელს აწერდა „კოლეჟსკი ასესორის“ ალექსანდრე ზაქარიას ძე გაბაშვილის მეუღლე ეკატერინე რევაზის ასული. ეკ. გაბაშვილს თხოვნასთან ერთად წარუდგენია ფაბრის კერძო პანსიონიდან 1868 წლის 14 ივნისს გაცემული ატესტატი.

მთავარმართებლის კანცელარიამ (მაშინ შერემეტიევი იყო დროებით მთავარმართებლად) თხოვნის მიღებიდან ორი კვირის შემდეგ დაიწყო ცნობების შეკრება ეკ. გაბაშვილის ვინაობის შესახებ. ამისათვის გამოყენებული იქნა საცენზურო კომიტეტი, თბილისის გუბერნატორი და ჟანდარმთა სამმართველო.

მთავარმართებლის კანცელარიამ საცენზურო კომიტეტს მოსთხოვა დასკვნა, თუ რამდენად შესაწყნარებელი იყო მთხოვნელის განცხადება და, ვარგოდა თუ არა გაბაშვილის მიერ წარდგენილი ფაბრის პანსიონიდან გაცემული ატესტატი. გუბერნატორს მოსთხოვეს ცნობები ეკ. გაბაშვილის უძრავ-მოძრავ ქონებაზე, პოლიტიკურად საიმედოებასა და ზნეობრივ ყოფა-ქცევაზე, ხოლო ჟანდარმთა სამმართველოს მიეწერა — ხომ არაფერი ცნობა გაქვთ, რომ მთხოვნელს ხელი შეეშალოსო. ეს მოწერილობები სრულიად კონფიდენციალურად გაუგზავნა მთავარმართებელმა თავის ხელქვეითებს.

პასუხების გაცემა ზოგმა არ დააყოვნა, ზოგმაც გააჭიანურა.

საცენზურო კომიტეტის ცნობით ეკ. გაბაშვილი უცნობი იყო საჟურნალო და საგამომცემლო სარბიელზე, ამიტომ თავს ვიკავებთ მისი დახასიათებისგანო. უნდა კი აღინიშნოს, რომ ეკ. გაბაშვილი იმ დროს საკმაოდ ცნობილი მწერალი იყო და სამაგვშო ჟურნალ „ნობათის“ ერთ-ერთი ძირითადი თანამშრომელიც. საცენზურო კომიტეტმა თავის უფროსს ვერაგულად უკარნახა, რომ თბილისში პერიოდულ გამოცემებზე მოთხოვნილება არ არსებობს, ორმა ორგანომ — „ცისკარმა“ და „თეატრმა“ უკვე შეწყვიტა არსებობა, რაც არ იყო მართალი („თეატრი“ არ იყო შეწყვეტილი!), ხოლო ამ წლის 2 ივლისს ნებადართულმა ჟურნალმა „ნათესმა“ აქამდე ვერ მოახერხა გამოსულიყოო. ამიტომ, სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ეკ. გაბაშვილის ნავარაუდევი გამოცემაც ვერ გამოვა და სასურველია მისი თხოვნა დაუკმაყოფილებელი დარჩესო.

ჟანდარმთა სამმართველოში ეკ. გაბაშვილს ვერაფერი აღმოუჩინეს. გუბერნატორმაც შეკრიბა ცნობები და 23 დეკემბერს მთავარმართებელს აცნობა — ეკ. გაბაშვილი ზნეობრივ და პოლიტიკურ დანაშაულში შემჩნეული არ არის, იგი საკუთარ სახლში ქმართან ცხოვრობს, ხოლო ეს სახლი ათი ათას მანეთად არის შეფასებულიო.

კვლავ გაიარა დიდმა დრომ და 1888 წლის 15 იანვარს მთავარმართებელმა პეტერბურგში, ბეჭდვის საქმის მთავარსამმართველოში გაგზავნა ქაღალდი ეკ. გაბაშვილის მიერ გამოთქმული სურვილის შესახებ და თანაც შეკრებილი ცნობებიდან განარკვი დაურთო. ამ ქაღალდში წინ არის წამოწეული საცენზურო კომიტეტის აზრი. მართალია ეკ. გაბაშვილი პოლიტიკურადაც და ზნეობრივადაც უდანაშაულოა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ უარი ეთქვასო.

ერთი თვის შემდეგ პეტერბურგიდან ქაღალდი გამოგზავნეს, რასაკვირველია, უარით: შინაგან საქმეთა მინისტრის მაგიერმა, სენატორმა ვიაჩესლავ პლევემ სურვილი არ გამოთქვა ეკ. გაბაშვილის თხოვნის დაკმაყოფილებისათვისო. მთავარმართებელმა ამჯერად პასუხი არ დაგვიანა და თბილისის გუბერნატორს უბრძანა: ეკ. გაბაშვილს გადაეცით სენატორ პლევეს აზრი და ატესტატიც უკან დაუბრუნეთო.

ამრიგად, ცნობილი ქართველი მწერალი ქალის და ქართველი მოღვაწეების ეს მშვენიერი განზრახვა ვერ განხორციელდა. ხუთი წლის განმავლობაში (1885-1890) ქართველ მოზარდ თაობას შესაფერი ბეჭდვითი სიტყვა, გარდა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა, არ ჰქონია. მხოლოდ 1890 წლიდან დაიწყო გამოსვლა „ჯეჯილმა“, რომელშიც ეკ. გაბაშვილმა, სხვებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო.

საქმე № 399 ქართული პრესის ისტორიის მნიშვნელოვანი საბუთია.

ხ. ხუციშვილი

გრიგოლ აბაშიძის უცნობი ლექსი

გრ. აბაშიძე XIX საუკუნის მეორე ნახევრის საკმაოდ ნიჭიერი ლირიკოსი იყო. ამავე დროს იგი ყურადღებას იქცევდა, როგორც კარგი მთარგმნელი რუსი და ევროპელი პოეტებისა (სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ ლერმონტოვის „მწირისა“ და სიჟლლი პრიუდომის „გატეხილი ვაზა“ თარგმანები). ცალკე უნდა აღინიშნოს გრ. აბაშიძის პუბლიცისტური წერილები, რომლებიც ამჟღავნებენ ავტორის თეორიულ მომზადებასა და პოლემიკის ტაქტს.

გრ. აბაშიძე, რომლის პოეზიის ფორმირება და გაშლა ხდებოდა ქართველ „მესამოციანელთა“ გავლენით, უმთავრესად უმღეროდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდ საქმეს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ გრ. აბაშიძის დღემდე უცნობ ლექსს „უდარდელი დღე“ (ლექსის ავტოგრაფი დაცულია საქ. სახ. მუზეუმში — S 5129).

გივი ჟღენტი

უდარდელი დღე

შორს დარდებო, შორს, ნუ მომეკარებით:
დღეს მე გჯობნით, დღეს ვერ მომკლავთ წვალებით!..
მიყვარს ლხინი, მიყვარს ძმებთან სიმღერა,
ბაიათი, ტკბილად თარის სიმთ-ჟღერა;

მიყვარს ღვინო, კულით მისი რაკ-რაკი,
ყელთან მისი ჭიკჭიკი, ლაპარაკი,
მიყვარს, ძმებო, უხვად ღვინო და პური,
ზურნა, დაფი, ლხინი მამა-პაპური;

მიყვარს სატრფო, მიყვარს მისი მე ცქერა,
ჩუმი, ტკბილი, მისთვის ამ გულის ძგერა...
დღეს ლხინში ვარ, მე დღეს დღე მაქვს ამგვარი —
ვარ ყოველმხრივ დაშაქრული, დამტკბარი...

შორს დარდებო, შორს, ნუ მომეკარებით:
დღეს მე გჯობნით, დღეს ვერ მომკლავთ წვალებით-..

[illegible]

სოფელ ჩარგალში ერთი საუკუნის წინათ 1856 წლის ზაფხულში დაიბადა დიდი ქართველი მგოსნის ვაჟა-ფშაველას თანასოფლელი და მეგობარი ოსა გეჯას ძე ზურაბაშვილი. ოსას ფშავლები ცოცხალ მემატიანეს უძახიან.

იგი მომსწრეა წყეული წარსულისა და უუფლებობისა, როდესაც ბედშავი ადამიანები მეფის ხელისუფლებისაგან და ადგილობრივ სოფლის მოხელეებისაგან იჩაგრებოდნენ.

„—ზილიჩის, ბურდოსა და ტარიბანის საძოვრები სადავო გაგვიხდა. — გვიამბობს ოსა— მოსარჩლედ დიდი მგოსანი ვაჟა-ფშაველა გვყავდა, სოფლის ყრილობაზე მეც ვესწრებოდი, შირაქში ფშავლებს წილი ჩაუდეს და 1905 წელს ვაჟა-ფშაველას თაოსნობით ბევრმა ფშაველმა მიატოვა მაღალმთიანი, მოუსავლიანი ადგილები და შირაქში დასახლდა. ვაჟას ხშირად უდღებოდა დავა მეფის მოხელეებთან ფშავის არაგვის ხეობის ტყეებზე, რომელიც მაშინდელმა მთავრობამ ადგილობრივ მცხოვრებლებს უკანონოდ ჩამოართვა. მე, ვაჟაზე ექვსი წლით უფროსი ვიყავი, კარგი მეზობლობა გვქონდა და ვაჟას თითქმის ყველაფერს ვუჯეროდი. ჩარგალში პირველად ვაჟამ შემოიტანა და გააშენა ნამყენი ხილი, ვაშლი, მსხალი, ბალი და შემდეგ მისგან ჩვენ, მეზობლებმა გადავიღეთ, ვისწავლეთ ხილის მოშენება.

1905 წლის ამბები რომ დაიწყო, ვაჟა ამბობდა, ჩვენ, მთიელებმა, უნდა შევკრათ პირი და შეუწყვეტლად ვიბრძოლოთ დაბეჩავებულ საქართველოს განთავისუფლებისათვის. უნდა ვუჩვენოთ, რომ ჩვენც ვიცით თანასწორუფლებიანობის ფასი და ამისათვის ვიბრძოლებთ კიდეც სიკვდილამდეო.

მოვიწვიეთ მთელი ფშავის არაგვის ხეობის კრება, ხალხს მოწოდებით ვაჟამ მიმართა. ფშავლებმა ვაჟასთან ერთად ეკლესიაში ხმალზე ფიცი დადეს, რომ თავსაც დასდებდნენ თავისუფლებისათვის და შეჰფიცეს ერთმანეთს, რომ სიტყვას არ გასთქვამდნენ“...

— 1902 წელს სოფელ ჩარგალში გაჩნდა გადამდები სენი, მუცლის ტიფი, — მწუხარებით იგონებს მოხუცი, — რომელმაც რამდენიმე ოჯახი მთლიანად ამოწყვიტა, მათ შორის, მეც მომიკლა ორი შვილი, ფშავში მაშინ ექიმები არავის უნახავს. თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრება ფშავლებმა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიმკვიდრეს. ჩვენი ფშავის ცენტრი — მაღაროსკარი დაბას დაემსგავსა, ჩარგალში ავტომობილის შემოსვლას მოვესწარი, კოლმეურნეობამ ააგო ორსართულიანი შენობა, სოფელში გახსნილია საფერშლო პუნქტი, შვიდწლიანი სკოლა, ვაუას სახლ-მუზეუმი, ბიბლიოთეკა, მაღაზია, პურის საცხობი. კოლმეურნეობამ უნდა იზრუნოს, რომ ამ უახლოეს წლებში ააშენოს საკოლმეურნეო ელექტროსადგური. არ მინდა მოვკვდე ისე, რომ ილიჩის შუქით გაჩირაღდნებული არ ვიხილო ჩემი ოჯახი.

ოსა ზურაბაშვილს მდიდარი, კულტურული ოჯახი აქვს: მისი ორი შვილი ჩარგლის კოლმეურნეობის მეცხვარეობის მოწინავე მწყემსია; შვილიშვილები, გიორგი, ანანურის ხაშუალო სკოლის უცხო ენის მასწავლებელია, ოთხები ხწავლობს ქ. თბილისში სამეურნეო-სამოანგარიშო კურსებზე, ალექსი— კი ჩარგლის 8 წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ შეუდგა კოლმეურნეობაში მუშაობას.

ფშავლების მოხუცი პაპა ოსა, ერთობა შვილიშვილის შვილის პატარა ნოდარის ალერსში, რომელსაც ხშირად საგმირო ამბებს უყვება და ძველ ფანდურზე ფშაურ ლექსებსაც უმღერის.

ვანო ნაუეური

ქალაქის ყველაზე ღიი და ყველაზე ლამაზი შაგრე ვანი ვაკის ახალ პარკში

ქალაქგარეთ

ფოტომოყვარული ეა... სიყვარული



დაბრუნება



თბილისელები ლისის ტბაზე

საჩუქარი პატარა მეგობარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვ
მზიან
კვირა
დღეს

ფოტონარკვევი
ოთ. თუარძიანი
და
ვლ. ბინაბუაგბილა

სიახლენი შიცლეფოლ წარმოშობის ანაზღაურებაზე

პროფ. **ვ. ასათიანი**
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი

ადვილად გამოიყოფოდნენ ხსნარის საერთო მასიდან ელექტროტალღით ზეგავლის სახით, რომელშიც ფაზიდან ფაზაზე არაკეთილი მდგომარეობიდან ცოცხლად გადასვლა.

თავის თეორიის ა. ი. ოპარინი დასტურებს ჩატარებულ ლაბორატორიულ ცდების შედეგებით.

რას წარმოადგენენ ფერმენტები?

თუ ჩვენ მოვიხილეთ ლაბორატორიის პირობებში ადვილდენილი ზოგიერთი ქიმიური პროცესი, ნუთუ ასევე ორგანიზმად ჩარაზულნი ფერმენტები, ბაშინ ეს ფიზიკურ-ქიმიური ფენომენ-ებია. „ეგზა შესაძლებელია ამ ორ ფენომენ-ებს ერთ-ერთ ფენომენ-ად ეწოდოს. ეს ამ ფენომენ-ების

ᲫᲐᲣᲨᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲚᲐᲓᲝ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

მაკვანეთელ გლეხს გიგო ერქომაიშვილს მთელს რაიონში იცნობდნენ: მის ოჯახში ყველა მღეროდა გიგოდან დაწყებული მეათე შვილით დამთავრებული. ეს იყო სრულფასოვანი, ხმაშეწყობილი გუნდი, რომელიც შესანიშნავად ასრულებდა გურულ ხალხურ სიმღერებს. და რა არის გასაკვირი, რომ ამ ოჯახიდან გამოვიდნენ ხალხური სიმღერების ისეთი თვალსაჩინო ოსტატები, როგორებიც არიან არტემ, ანანია და ვლადიმერ ერქომაიშვილები.

პირველი ნათლობა ერქომაიშვილებმა 1906 წელს მიიღეს. გიგო სოფლის მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობდა. იმდენად პოპულარული და ცნობილი იყო ეს გუნდი იმ ხანად, რომ იგი თბილისში მიუწვევიათ ფირფიტებზე ჩასაწერად. გიგოს ვაჟები მაშინ მცირეწლოვანები იყვნენ, მაგრამ ეს გარემოება ხელს როდი უშლიდა მათ გუნდში მონაწილეობა მიეღოთ. მამასთან და თავის ბიძასთან, ცნობილ მომღერალ გიორგი ბაბილოძესთან ერთად, ძმები ერქომაიშვილები შესანიშნავად ასრულებდნენ სხვადასხვა ხალხურ სიმღერებს.

ფირფიტებზე სიმღერის ჩაწერამ და მცირედმა ყურადღებამ ბიძგი მისცა 19 წლის ჭაბუკს არტემ ერქომაიშვილს განეგრძო ხალხური სიმღერების შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმე. მან შესანიშნავად გამოიყენა თავისი მასწავლებლის — ცნობილი მგალობელ-მომღერლის მელქისედეკ ნაკაშიძისაგან მიღებული ცოდნა.

ამ დიდ საზოგადოებრივ საქმიანობაში არტემს დახმარებას უწევდნენ მისი უმცროსი ძმები ანანია და ვლადიმერი; ისინი სამი ათეული წლის განმავლობაში მღეროდნენ არტემის ხელმძღვანელობით სხვადასხვა გუნდებში; იმართებოდა საჯარო კონცერტები საქველმოქმედო მიზნით, ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები გუნდის თანხლებით; ერქომაიშვილები გამოდიოდნენ საქართველოს ყველა კუთხეში საჩვენებელი კონცერტებით.

შეჯიბრებებსა და ოლიმპიადებში გუნდი ყოველთვის წარმატებით მონაწილეობდა; 1927 წელს ქუთაისში მოწყობილ გუნდების პირველ შეჯიბრებაზე მან მაღალი ჯილდო დაიმსახურა. ასევე წარმატებით აღინიშნა ერქომაიშვილების მუშაობა 1929 წელს, მეორე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. მესამე ოლიმპიადა 1934 წელს გაიმართა ოპერისა და ბალეტის თეატრში ცნობილი რეჟისორის სანდრო ახმეტელის სამხატვრო ხელმძღვანელობით. აქაც ძმები ერქომაიშვილები ბრწყინავდნენ ხალხური სიმღერების შესანიშნავი შესრულებით.

1936 წელს ერქომაიშვილების საშუალო ძმა ანანია გადაყვანილ იქნა თბილისში დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტ-მომღერლად (ამ ანსამბლს ხელმძღვანელობდა კირილე პაჭკორია). ანანია ერქომაიშვილმა ჩვეული მონდომებით განაგრძო თბილისში მუშაობა. თავი ისახელა 1937 წლის იანვარში მოსკოვსა და ლენინგრადში გამართულ ქართული ხელოვნების სადეკადო კონცერტებზე.

ანანია ერქომაიშვილი მრავალი ხნის განმავლობაში ასწავლიდა თბილისის სკოლებში ჩონგურზე დაკვრას და ხალხურ სიმღერებს; ამზადებდა ახალ თაობას საბავშვო ოლიმპიადებზე გამოსასვლელად. ნაყოფიერი იყო სკოლებში მისი მუშაობა. ესოდენ ხანგრძლივი და თვალსაჩინო მუშაობისთვის ანანია ერქომაიშვილს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

წელს ანანია ერქომაიშვილი მეორედ მონაწილეობდა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე, ამასთან დაკავშირებით, როგორც ღვაწლმოსილი და უანგარო მოღვაწე, იგი საპატიო ნიშნის ორდენით დააჯილდოვა მთავრობამ.

* * *

უმცროსი ძმა ვლადიმერ ერქომაიშვილი ოცდაათ წელზე მეტია, რაც დამოუკიდებლად უძღვება გუნდებს, ოცზე მეტი მომღერალთა გუნდი ჩამოაყალიბა მან მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში. თვითონ კი, ამჟამად, ხელმძღვანელობს სიმღერისა და ცეკვის მახარაძის რაიონულ ანსამბლს.

დიდი ხანია, რაც მახარაძის რაიონის კოლმეურნეობას მეგობრობა აქვს დამყარებული უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეობასთან მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის. ამ მეგობრობის განსამტკიცებლად ორი წლის წინათ კოლმეურნეებთან ერთად გენიჩესკის რაიონში გაემგზავრა ხალხური გუნდი ვლადიმერ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით.

უკრაინის პრესა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა გენიჩესკში გამართული ქართული კონცერტის გამო.

1951 წელს ვლადიმერ ერქომაიშვილს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

* * *

ცხრა წლის განმავლობაში ასწავლიდა არტემ ერქომაიშვილი სამეგრელოს სკოლებში სიმღერა-გალობას. ხოლო მომღერალთა გუნდს კი განუწყვეტლად ხელმძღვანელობდა. ყველა შეჯიბრება-ოლიმპიადაში მონაწილეობდა არტემ ერქომაიშვილი და ყოველთვის ბრწყინვალე შედეგებს აღწევდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გურიაში ცნობილი ვარლამ სიმონიშვილის შემდეგ, არტემ ერქომაიშვილია ხალხური სიმღერების მოვლა-პატრონობის თავკაცი.

არტემ ერქომაიშვილის მიერ, როგორც საქართველოში ისე მოსკოვსა, ლენინგრადსა, ხარკოვსა და სხვაგან ჩატარებული მუშაობის შესახებ პრესაში ასობით რეცენზია მოიპოვება, სადაც იგი ღირსეულად არის დაფასებული.

არტემი თავისი გუნდით ხშირად ღებულობდა მონაწილეობას რადიოგადაცემებში. მას არა ერთი და ორი რადიო-კონცერტი ჰქონია. მის კონცერტებს რადიომსმენელები დიდი მოწონებით ხვდებოდნენ. 1935 წელს მისი ხელმძღვანელობით არსებულმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო რადიოფესტივალის საკავშირო გადაცემაზე, სადაც გუნდის გამოსვლა ფრიადზე იქნა შეფასებული.

ყველაფერ ამასთან ერთად არტემ ერქომაიშვილი თვითმოქმედი კომპოზიტორია. მან მრავალი სიმღერა შეთხზა, ბევრი ხალხური კილო საგუნდო რეპერტუარად აქცია. ეს მისი მუშაობა ცალკე შესწავლას საჭიროებს.

არტემ ერქომაიშვილს, 1951 წელს, უანგარო და ხანგრძლივი მუშაობისათვის მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

რამდენიმე თვის წინათ მახარაძელებმა არტემ და ვლადიმერ ერქომაიშვილებს იუბილე გადაუხადეს.

მარცხნიდან — არტემ, ანანია და ვლადიმერ ერქომაიშვილები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისი. პიონერთა
სასახლის მტრედები.

ფოტო
გ. თიკანაძისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველმა მთამხვლელებმა დაიწყეს თავისი ოცდამეთერთმეტე სპორტული სეზონი. „წინ და ზევით!“ — ასეთია საბჭოთა მთამხვლელების დევიზი. წინ — ახალი და ახალი, სულ უფრო და უფრო ძნელი მწვერვალების დასაძლევად! ზევით! — კიდევ უფრო მაღალი მწვერვალების მისაღწევად!

ფერადი ფოტო გ. თიკანაძისა

ფიშკარი

მაჰმუდ ას-საადანი

მოთხრობა

მხატვარი ზ. ლეჟავა

ძია ჰუსეინი, ჩვეულებისამებრ, მიადგა ინგლისელ მეზღვაურთა ბანაკის ჭიშკარს პორტ-საიდში. გაიხედა თუჯის მესერში და, როგორც ყოველთვის, დაინახა ჯარისკაცები, რომლებიც მარშით დადიოდნენ მჭრქალი სინათლით განათებულ სივრცეში, და მისადგომთან მდგარი უზარმაზარი გემი. საშუალო ტანის ჯარისკაცი, რომელიც ბანაკში მიმოდიოდა, ნაღვლიან სიმღერას უსტვენდა.

ძია ჰუსეინი ჭიშკრის ახლოს შერჩეულ ადგილზე მოკალათდა, ამოიღო პატარა ნამცხვარი და აუჩქარებლად ღეჭვა დაიწყო. დროდადრო გაიხედავდა და თვალს მიადევნებდა შორს, უსასრულო სივრცეში მოძრავ ორ ნათელ წერტილს. ისინი ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ მას. რამდენიმე წუთის შემდეგ ჰუსეინმა გაიგონა ავტომანქანის მგრგვინავი ხმაური. ფარების ძლიერმა სინათლემ სიბნელეს გამოსტაცა ეკლიანი მავთულის ღობე, ჭიშკარი და, ბოლოს, თვით ჰუსეინი.

ძია ჰუსეინმა იფიქრა, შემოვლა იწყებაო. ჰუსეინისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო ის, რომ დროდადრო მოულოდნელად გამოჩნდებოდა პოლიციის პატრული, დაიჭერდა მას და შეაგდებდა პორტის საპატიმროს ცემენტის საკანში. ყოველთვის, როდესაც მის შესახებ ჩიოდნენ ინგლისელები, მას არასოდეს არ ესმოდა ინგლისელების ასეთი მოქცევის მიზეზი. ჰუსეინი არ ეჩხუბებოდა მათ, არ თვლიდა მათ თავის მტრებად და არც განიცდიდა მათ მიმართ არავითარ ბოროტ გრძნობას. იგი მხოლოდ ღამეს ათევდა ჭიშკართან, რომელიც შედიოდა ინგლისელ მეზღვაურთა ბანაკში. ჰუსეინს რომ სახლი ჰქონოდა, აქ როდი გაათევდა ღამეებს.

მაგრამ აქაც კი, ამ ჭიშკართან, ძია ჰუსეინი საკმარისად ვერ გამოიძინებდა. მას ჩვეულებრივ დილის ექვს საათამდე ეძინა. სანამ ინგლისელი ყარაული არ მოვიდოდა, რომელიც თოფის კონდახს წაჰკრავდა და გინებით უბრძანებდა, მოშორებოდა იქაურობას. ხანდახან სალდათი გადაუგდებდა სიგარეტს. ჰუსეინი აიღებდა მას და წავიდოდა.

ხშირად ძია ჰუსეინს შიშით შეპყრობილს ელვიძებოდა ექვს საათზე რამდენიმე წუთით ადრე. მას ტანჯავდა მძიმე კოშმარები. მაგრამ ჩუმად მადლიერი იყო ალაჰისა გუშაგის მოსვლამდე გაღვიძებისათვის. ადგებოდა და ცდილობდა ნავსადგურში გაძრომას, ხელში განუყრელი დოქი ეკავა და მიწაზე დაყრილ ნამწვავებს ეძებდა.

გულის ცემა შეუწყდა ძია ჰუსეინს, როდესაც ავტომანქანა გამოჩნდა. მაგრამ მან შვებით ამოისუნთქა და გაოცდა კიდეც — ეს პოლიციელების მანქანა არ იყო, არამედ სამხედრო, მანქანის კაბინაში იჯდა შოფერი — ჯარისკაცი და მის გვერდით — ახალგაზრდა ოფიცერი, ხოლო ბანაკის ჭიშკარი იკეტებოდა საღამოს ექვს საათზე და იღებოდა მხოლოდ დილის ექვსზე. შოფერს და ოფიცერს აღელვება ეტყობოდათ.

უფრო მეტად გაუკვირდა ძია ჰუსეინს, როდესაც დაინახა, რომ ბანაკის ჭიშკარი გაიღო და მანქანა სწრაფად გამოვიდა ნავმისადგომზე. ამ ჭიშკართან გატარებული ათი წლის განმავლობაში არაფერი მსგავსი არ უნახავს ჰუსეინს. მან თავი მიანება გაოცებას და ისევ შეუდგა აუჩქარებლად ნამცხვრის ღეჭვას. ჭამა რომ მოათავა, გადაბრუნდა გვერდზე და დაიძინა.

გავიდა ორი საათი. ძია ჰუსეინს ეძინა ალალმართალი კაცის ძილით. მაგრამ, დაბოლოს, იგი შეაშფოთა ბანაკში ატეხილმა ხმაურმა. ძილში მას ესმოდა ხმამაღალი ლაპარაკი, ქუსლებისა და კონდახების ბრაგუნი, სამხედრო ბრძანებები და გემის საყვირის ხმა. ძია ჰუსეინმა ვერაფერი გაიგო. იგი შეტრიალდა, მოეჩვენა, ყოველივე ეს სიზმარში ვნახეო.

მაგრამ, აი, ჰაერში გაისმა ნავსადგურიდან მომავალი უზარმაზარი გემის შემაშფოთებელი საყვირის ხმა, ძია ჰუსეინი მთელი ტანით შეკრთა. უნდა წამომდგარიყო, მაგრამ ვერ შეიძლო — თითქოს ტანი ტყვიით ჰქონდა დამძიმებული... და როდესაც უდაბნოდან დაუბერა გრილმა ნიავმა, ძია ჰუსეინს ჩასთვლიმა და ღრმა ძილს მისცა თავი.

გავიდა მრავალი საათი, სანამ ძია ჰუსეინი გაიღვიძებდა, შიშით შეპყრობილი, როგორც მას ემართებოდა ეს ყოველ დილით. როდესაც თვალი გაახილა, თავზარი დაეცა: მზე უკვე შუბის ტარზე იდგა, ღია იყო ბანაკის ჭიშკარი, მის მარჯვნივ გუშაგი იდგა. ეს ინგლისელი, უთუოდ, კეთილი ადამიანი იყო. იგი არ აპირებდა ჰუსეინის გამოლანძღვას და არც მის გაგდებას.

ძია ჰუსეინმა თვალები მოიფშვნიტა. უნდოდა გაეგო, თუ რა მოხდა. თვალები აუჭრელდა... მას მეტად დიდხანს ეძინა. ახლა ცხრა საათზე მეტი იყო, ნამწვავებს ალბათ სხვები აკრეფდნენ.

მეორე გვერდზე გადაბრუნებულმა ჰუსეინმა პირდაპირ სახეში შეხედა ჭიშკრის წინ მდგარ გუშაგს. და უეცრად შეკრთა: გუშაგს შავგვრემანი სახე ჰქონდა... თითქმის ძალზე შავგვრემანი. ეს, რასაკვირველია, სუდანელი იყო, ანდა ინგლისელთა კოლონიური ჯარების აფრიკელი ჯარისკაცი. მხოლოდ ჭიშკართან მდგარ კაცს ეგვიპტური ფორმა ეცვა და გარეგნულადაც ეგვიპტელი იყო. შეუძლებელია, რომ ჰუსეინს ასე ატყუებდეს თვალები, თუმც მას წინანდელივით აღარ უჭრის მხედველობა.

იგი მივიდა ჯარისკაცთან.

— სალიამ ალეიქუმ!

— ალეიქუმ ას-სალიამ!

აი სასიამოვნო და მოულოდნელი ამბავი! ეს ხომ ეგვიპტელია, ეგვიპტელის შვილია და ისეთივე ფელახი!.. თავზე უბრალო მწვანე ჩალმა ახურავს! მაგრამ, ნეტავ, მაინც რა მოხდა? შესაძლოა, ხელისუფლება გამოიცვალა?

— რა მოხდა, სერჟანტო? ინგლისელები ხომ არ წასულან? რა მოხდა?

ჯარისკაცმა დინჯად უპასუხა.

— მოთავდა მათი საქმე. დასტოვეს ეგვიპტის მიწაწყალი.

— როდის მოხდა ყოველივე ეს?

— წუხელ ღამით, შენს ძილში.

— დიდება ალაჰს! ვფიცავ, ეს სიზმარი მეგონა!

ძია ჰუსეინმა ტუჩები აიცმაცუნა, ტაში შემოკრა და ჩაილაპარაკა:

— ვფიცავ ალაჰს, ამიერიდან ჩვენ აღვსდგებით! — და მან სიყვარულით შეხედა ჯარისკაცს. შემდეგ შემოტრიალდა ქუსლებზე, ხანტი და ტაბილი ზმორებით, ნელ-ნელა გაიმართა გაღებულ თუჯის ჭიშკრისაკენ. მან მესერიდან შეიხედა. ბანაკში რამდენიმე ჯარისკაცი დადიოდა. ისეთივე შავგვრემნები, როგორიც ჰუსეინი იყო. ძია ჰუსეინი მესერს მოეჭიდა და ხმამაღლა გაიცინა. გული საოცრად აუტოკდა. მაშ, ინგლისელები წავიდნენ და აღარ დაბრუნდებიან, ჯანდაბას იმათი თავი და ტანი. დიდება ალაჰს! მან ღრმად ამოისუნთქა, შემდეგ სული მოითქვა და გულში ჩაირტყა გაძვალტყავებული ძარღვიანი მუშტი, კიდევ ერთხელ შეხედა დაკვირვებით სალდათს და დაამთქნარა. როგორც კი მიმოორდა ჭიშკარს, ძია ჰუსეინი პირდაპირ მიწაზე გაიშხლართა და ღრმად ჩაიძინა.

დაე, ეყაროს მიწაზე ნამწვავები, ძია ჰუსეინს დღის შეუძლია წყნარად დაიძინოს. დაე, იძინოს წყნარად... ინგლისელები ხომ უკვე წავიდნენ.

თარგმანი
მარიამ აბიაშვილისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრძენი სოლომონი

შალვა შაველაშვილი

მოთხრობა

მხატვარი ალ. ბანძელაძე

სოფელში ხმა გავარდა: ბრძენი სოლომონი გარდაიცვალაო... გაკვირვებით არავის გაჰკვირვებია, მოხუცი კაცი იყო, დანანებით კი ყველას დაენანა. კეთილი ადამიანის სიკვდილმა გული მატკინა. გარდაიცვალა კაცი, რომელთანაც მრავალი ღამე ტკბილ საუბარში გამიტარებია. რამდენი რამ უამბნია ჩემთვის, რამდენი კარგი დარიგება მომისმენია მისგან. მიმზიდველი საუბარი იცოდა სოლომონმა. მის სიტყვაში ნაკვერცხალივით ღვიოდა აზრი. მარტო სიტყვით კი არა, — საქმითაც კარგი იყო. გამრჯე და მართლისმთქმელის სახელი ჰქონდა გავარდნილი. სწორედ ამიტომ დაერქმიათ მისთვის მეტი სახელი „ბრძენი სოლომონი“.

ჰაი, ჰაი, რომ ხალხი სამართლიანი ნათლიაა.

დღის შუქი გაემუქებინა საღამოს ბინდს. ის იყო მზე წყაროს მწვერვალს ეთხოვებოდა, როცა ორღობიდან აღმართს ამოვეე და სოფელში შევედი: შარაგზაზე ყველას ბრძენი სოლომონის სიკვდილი ეკერა პირზე...

— ცხონებულს უწვალებლად კი დაულევია სული, ვაზსა სხლავდა თურმე, ჩაუკეცია და აღარც ამდგარა. სახლავი ხელში შერჩენია. თამარს სამხარი რომ გაუტანია, მამა შუა ვენახში მკვდარი დახვედრია. მომიჯნავეებს მაშინვე სახლში გადაუსვენებიათ, — მიამბო დედაჩემმა სახლში მისვლისთანავე.

დაღლილი ვიყავი, მაგრამ გულმა არ მომითმინა, მისი სახლისაკენ გავწიე. მალე ბრძენი სოლომონის ეზოში გავჩნდი. მაღალი წიფლის ხეები ედგათ სახლის წინ. ზაფხულში ამ წიფლების ქვეშ დასვენებას არა შეეძრებოდა რა, ხეების ძირში გრძელი სკამი იდგა, აქვე ახლო მთის ბუნებრივი წყარო ამოჩუხჩუხებდა. სწორედ აქ ვსაუბრობდით ხოლმე მე და სოლომონი.

შევედი თუ არა ეზოში, სევდა შემომწვა. ბევრი რამ გამახსენდა... კიბეზე ნელი, ფრთხილი ნაბიჯით ავედი... ჩემი ფეხის ხმაც კი მაკრთობდა. ერთი წუთით წარმოვიდგინე, რომ სოლომონს ეძინა, თითქოს არ მინდოდა ძილი დამეფრთხო მისთვის.

დიდ ოთახში ესვენა მოხუცი. ჭირისუფლები თავჩაქინდრულები ისხდნენ სკამებზე. უსიტყვოდ მივუსამძიმრე მათ და რამდენიმე წუთის შემდეგ მეორე ოთახში გავედი. ბუხარში ჩვეულებრივად გიზგიზებდა ცეცხლი. ტკაცატკუცი გაჰქონდა იფნის შეშას... ზამთარში აქ, ამ ბუხრის წინ, დაბალ სკამებზე ჩამოვსხდებოდით ხოლმე და ტკბილად ვსაუბრობდით. შვილებში არ მარჩევდა, ვუყვარდი. ღამით, როცა მეორე ოთახში თამარს ეძინა, მე და სოლომონი პატარა თიხის ჯამებით თავკვერის გემოწმინდა ლალისფერ ღვინოს ვსვამდით და შუაღამემდე ვმასლაათობდით. უფრო ხშირად ის იყო მთხრობელი, მე კი მისი მსმენელი.

— ჩემი არჩილი ახლა შენა ხარ. ვიდრე ის მოვიდოდეს, მე ჩემი დამემართებაო, — მეტყოდა სოლომონი. მართალიც იყო. მე და არჩილი ერთი დედის შუალედან არ ვიყავით დაბადებულნი, თორემ, სხვაფრივ განუყრელ ძმებსა ვგავდით. ფრონტზე ერთად ვიბრძოდით... არჩილმა ჩემს გვერდზე დალია სული, მტრის ტყვიამ განგმირა. უკანასკნელ ამოკვნესამდე იბრძოდა. მისი სახელი ჩვენს ნაწილში ყველამ იცოდა. ვაუკაცი იყო და ვაუკაცურადაც დაიღუპა. მეც მაშინ დავიჭერი. ჰოსპიტალიდან შინ გამომიშვეს, არჩილი კი იქ, დნეპრის გაღმა, მაღალ ბექობთან დარჩა... იგი უკრაინის მიწამ მიიბარა.

სოფელში დაბრუნებისთანავე ვინახულე ბრძენი სოლომონი. გულში ჩამიკრა. თითქოს ახლაც ვგრძნობ მისი რბილი, თეთრი წვერების სილბოს. როცა მარჯვენა გამომიწოდა და მე მარცხენათი ჩამოვართვი ხელი, მოხუცი მწუხარებისაგან გაშრა. ხმა წაერთო. ვეღარა — მოახერხა რა, რომ ჩემთვის სანუგეშო ეთქვა რამე. მისი თვალების სიღრმეში ცრემლი დაგუბდა. ამ უდრეკ კაცში გრძნობამ იძალა. მოხუცი ჩემი მარჯვენა ხელის დაკარგულ მტევანზე ფიქრობდა — და საკუთარი შვილის სიკვდილისა კი არაფერი იცოდა. გადავწყვიტე, არც გამეგებინებინა მისთვის არჩილის სიკვდილი. „მოხუცს რაღა გამწარება უნდა-მეთქი“, — ვიფიქრე და ასეც მოვიქეცი.

თრონტიიან დაბრუნების შემდეგ ხშირად დავდიოდი სოლომონთან... გვიანობამდე ვრჩებოდი. ისე მეფერებოდა, ისე მამხნევებდა, რომ სულ დამავიწყდა ჭრილობა, დაკარგული მარჯვენა ხელის მტევანი.

— შენ ისევ ორმკლავიანი ხარ, გიორგი, თავს გაიტან: ვაი, მას, ვინც ვეღარასოდეს ვერ დაბრუნდება ოჯახში.

ამას რომ მეტყოდა, სახეზე სიწითლე გადამკრავდა, გულში ვამბობდი, შვილის ამბავი ხომ არ იცის-მეთქი, მაგრამ ვცდებოდი, სოლომონს გუმანიც არ ჰქონდა აღებული არჩილის დაღუპვაზე. მე შენდობოდა. ჩემი სჯეროდა. ერთ საღამოს სწორედ ამ ბუხართან ვისხედით. მარტო ჩვენ ვიყავით. ბრძენი სოლომონის ქალიშვილი თამარი მეორე ოთახში წიგნს კითხულობდა; ცეცხლის ალი ანათებდა სოლომონის სახეს. მკერდამდე სცემდა თეთრი, ბამბასავით რბილი წვერები. ჭკვიანი შუბლი კიდევ უფრო დიდებულ შესახედავს ხდიდა. დაბალ სკამზე მჯდომ სოლომონს მარცხენა ხელში ყავარჯენი ეჭირა და მისი ლითონწამოცმული წვერით ნაკვერცხალს ჩხრეკდა. გვერდზე ხელადა გვედგა და საუბარით თავს ვიქცევდით. მოხუცმა ჩემთვის სრულიად მოულოდნელად შეცვალა საუბრის თემა და შემეკითხა:

— სად დასცილდით ერთმანეთს შენ და არჩილი?

მე შეკვრთი. ძარღვები დამებერა. ვიგრძენი, რომ ნაჭრილობევ სახეზე ალმურმა გადამკრა. ყელში რაღაც მომაწვა. მაგრამ არ შევიმჩნიე, მარცხენა ხელით ხაღვინეს დავწვდი, ჯამი ღვინით გავავსე და მოჩვენებითი სიდინჯით სოლომონს მივაწოდე, თან ვუთხარი:

— დნეპრის პირას, კიევის ახლოს.

— ეგ როგორ მოხდა? — მეკითხებოდა და თან თვალს არ მაცილებდა. მეც მტკიცე ხმით მოვუყევი:

— მზვერავთა ჩვენი ჯგუფი ორად გაიყო. შენი არჩილი ტყისკენ წაუძღვა ბიჭებს, ჩვენ კი მარცხნივ შევეეთ ბექობს. სიწყნარე იყო. ჩამიჩუმი არ ისმოდა. მოულოდნელად გაისმა სროლის ხმა — და მარჯვენა ხელში ტკივილი ვიგრძენი. მალე კისერშიც ცეცხლივით გამკრა ტყვიამ. მტრის სნაიპერმა დამიზანა მარჯვენა და სახეში დამჭრა.

დაჭრილი გამომიყვანეს ამხანაგებმა. ჰოსპიტალში მომათავსეს, იქიდან კი შინ გამომიშვეს. დნეპრის გაღმა დავცილდით მე და არჩილი, — ვუთხარი სოლომონს, ჯამი გავივსე და გულგრილი კილოთი წამოვიწყე: — გაუმარჯოს ჩემს ფრონტელ მეგობრებს, გაუმარჯოს არჩილს...

მოხუცმა დუმილით მიპასუხა. უსიტყვოდ გამოსცალა ჯამი და ამოიოხრა. ეზოში ძაღლმა დაიყეფა. შემთხვეით ვისარგებლე და კარში გავედი. ეს ჩვეულებრივი ქცევა იყო ჩემთვის. ოჯახში შინაურად მთვლიდნენ. აივანზე გასვლისთანავე ჩვენებიანთ იაგორა დავინახე. მან სწრაფად ამოირბინა კიბე. დერეფანს ელექტროსინათლე ანათებდა. იაგორას სახეზე მღელვარება ემჩნეოდა. ის იყო პირი დაალო და რაღაც უნდა ეთქვა ჩემთვის, რომ სოლომონმა კარი გამოაღო და ჩვენთან გამოვიდა.

— ამ თოვლში რას გაჩერებულხართ, შინ შემოდით, — გვითხრა სოლომონმა და ოთახში შეგვიძღვა. სამივენი ბუხრის წინ დავსხედით. სმა განვაგრძეთ. იაგორა გაჩუმებული იჯდა. ღვინოს უსიტყვოდ სვამდა.

— რა კრიჭამეკრული ზიხარ, ბიჭო, ხმა ამოიღე, — მიმართა სოლომონმა იაგორას.

— მართლაცდა რა გაჯავრებული გამოიყურები, — ვუთხარი მეც.

იაგორამ პასუხის ნაცვლად, ქუდს წამოავლო ხელი და ზეზე წამოდგა, წასვლა დააპირა, მაგრამ არც მე და არც სოლომონმა არ გავუშვით. ისევ დავსვით. ჯამი გავუსვა და მივაწოდე:

— აბა, დალიე, მშობლების სადღეგრძელოა...

იაგორამ მოწყენილი თვალები გამისწორა და ჯამი უგულოდ გამომართვა, ორი სიტყვა წაილუღლუღა და გამოსცალა.

— ერთიც დაალევინე, აზამბარში გამოვიყვანოთ, — მითხრა სოლომონმა.

მეც მაშინვე შევასრულე მასპინძლის სურვილი და სავსე ჯამი ისევ იაგორას მივაწოდე.

— ლუკმა დააყოლე, შვილო, — უთხრა სოლომონმა იაგორას, როცა ჯამი გამოსცალა. მაგრამ მან საჭმელს პირი არ დააკარა.

— რა ამბავია, იაგორ, აღარ იტყვი?! — ცოტა არ იყოს გაკვირვებით შევეკითხე ბიძაშვილს. იაგორა კვლავ დუმდა. მან ადგომა დააპირა. მაგრამ ისევ თავის ადგილზე დავსვით, არ გავუშვით.

კარგა ხანს ვსვამდით. საღვინე გამოვცალეთ. სოლომონმა ქალიშვილს გასძახა, აქ მოდიო. თამარი გამოვიდა და ბუხართან ახლოს გაჩერდა.

— შვილო, ღვინო ამოგვიტანე მარნიდან. მაგრამ მარტო ვერ ჩახვალ, გიორგი ჩამოგყვება. სარქველი ფრთხილად ახადეთ, მიწა არ ჩაგიცვივდეთ ქვევრში.

მე ხაღვინეს დავავლე ხელი და თამარს გავყევი. უნდა გამოვტყდე, რომ გულში რაღაც სასიამოვნო ტკივილი ვიგრძენი. დიდი ხანია ვგრძნობდი, რომ

თამარი გულის სიღრმეში მიეკარდა, რომ მისი ანთებული თვალები ელვასავით მცემდა. ეს იყო ძლიერი და დაფარული გრძნობა. როცა კიბეზე ჩავდიოდი და თამარის ახოვან ბეჭებს ვუცქერდი, ურუანტელი მივლიდა. ისიც შემომჩნევია, რომ თამარსაც გადაჰკრავდა სიწითლე ჩემთან შეხვედრისას. სწორედ კიბეზე ჩასვლის დროს გავიფიქრე, რომ თამარი უწმინდესი სიყვარულით მიყვარდა, რომ იგი ადრე თუ გვიან ჩემი ცოლი უნდა გამხდარიყო.

მარნის კარი შევაღე. კედელზე ელექტრო ჩამრთავს ვეძებდი, რომ სინათლე ამენთო. უცბად ვერ ვიპოვე და შემოვბრუნდი. სწორედ ამ დროს სიბნელეში სრულიად უნებურად თამარს დავეჯახე. მისი მკერდის სითბო ვიგრძენი. მინდოდა ბოდიში მომეხადა, მაგრამ ხმა ჩამიწყდა. თამარმა აანთო შუქი. მზერა გავუსწორეთ ერთიმეორეს. სულ ერთ წუთში მოხდა ეს ყველაფერი. მართალია, არც ერთს ხმა არ ამოგვიღია, მაგრამ ვგრძნობდი, რომ იმასაც ის აღელვებდა, რაც მე. ერთნაირი ნეტარებით ვიყავით გაოგნებულები.

ქვევრს სარქველი ავხადე, საღვინე გავავსე და ისევ დავაფარე. თამარი და მე კვლავ ზევით ამოვედით. საღვინე შევიტანე. ჩემს სკამზე ჩამოვჯექი და სოლომონს შევხედე. იმანაც შემომხედა. მისმა მზერამ თავი ჩამალუნინა. ჭკვიანმა მოხუცმა ახლა თამარს გაუსწორა თვალი, მაგრამ არა თქვა რა. ალეწილ სახეებზე შეგვატყო, რომ მე და თამარს რაღაც საერთო გრძნობა დაგვეფუფლა. უხერხულობის დასაძლევად ჯამები ავავსე.

სოლომონმა ოდნავი კმაყოფილებით ახალი სადღეგრძელო დალია. სადღეგრძელო ჩვენს გავიმეორეთ. იაგორამ სოლომონს სთხოვა, ორი წუთით მე ივანზე გავყოლოდი. სოლომონმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მე და იაგორა ივანზე გავედით.

— რა იყო, ბიჭო, რამ აგაღელვა? — ვუთხარი გასვლისთანავე იაგორას.

— ახალი ამბავი, არჩილის ამბავი მოვიდა.

ტყვიასავით მომხვდა იაგორას სიტყვა. გავშტერდი. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ბიძაშვილს მივმართე:

— როგორი ამბავია?

— ცუდიც, სასახელოც. არჩილისთვის მთავრობას გმირობა მიუნიჭებია.

— როგორ, მკვდრისთვის?

— დიახ მკვდრისთვის, სიკვდილის შემდეგ.

ყველაფერს მივხვდი. იაგორას პირზე ხელი მივაფარე, გაჩუმდი, არაფერი არ წამოგცდეს, წადი და მეც ახლავე მოვალ-მეთქი. იაგორამ კიბე ჩაირბინა და ღამეში გაჰქრა.

მე ერთ ადგილას გავშეშდი. ფიქრმა გამიტაცა. ვეღარა ვგრძნობდი, თუ როგორ დნებოდა ჩემს ცხელ სახეზე თოვლის ფიფქები. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექი გაქვავებულივით. მახსოვს, ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო და ფიქრიდან გამომიყვანა. როცა გამოვერკვიე, ჩემს წინ სოლომონი იდგა.

— რას გაშტერებულხარ ამ სიცივეში, რატომ შინ არ შემოხვალ? — იაგორა რაღა იქნა?

— იაგორა წავიდა.

სოლომონმა აღარაფერი მითხრა, ხელი მომკიდა და შინ წამიძღვა. ბუხრის წინ, სწორედ ამ ბუხრის წინ, ახლა მე დამეუფლა სიმუნჯე. თამარიც ჩვენთან დაჯდა. ჩემმა მწუხარე სახემ ისინიც დააღონა. ვიგრძენი, რომ თამარიც სწუხდა ჩემი წუხილით. მაგრამ რა იცოდა იმ წუთში ან მამამ და ან შვილმა, რომ მათი ვარამით ვიყავი გულდათუთქული.

— გიორგი, რა ამბავი მოგიტანა იაგორამ? — სოლომონის ამ კითხვამ გამომაფხიზლა. ძალ-ღონე მოვიკრიბე და ვცადე სულ სხვა რამე მეთქვა:

— სტუმარი მოგვსვლია, დედაჩემი მიძახის...

მართალია მე შევეცადე ეს ფრაზა ჩვეულებრივად მეთქვა, მაგრამ ბრძენ სოლომონს არ გამოპარვია ჩემი გაბზარული ხმა, იგი ფეხზე წამოდგა, მომიახლოვდა, ნიკაპი მაღლა ამიწია და მითხრა:

— აბა, კარგად შემომხედე, — გიორგი, პირდაპირ თვალებში შემომხედე, იცოდე, რომ შენ რაღაცას მიმალავ.

ომში ბევრი განსაცდელი და უბედურება გამომივლია. მტერს პირისპირ შევხვედრივარ. ცხრაჯერ დავიჭერი, მაგრამ არც ერთ ტყვიას, ყუმბარის არც ერთ ნამსხვრევს ისეთი ტკივილი არ მოუყენებია, რაც იმ საღამოს ბრძენი სოლომონის შემოხედვამ მაგრძნობინა.

იაგორას მოტანილმა ამბავმა მეხი დამცა. მხოლოდ იმაზეღა ვფიქრობდი, თუ როგორ შეხვდებოდა სოლომონი ერთადერთი ვაჟიშვილის დაღუპვის ამბავს.

მოხუცს ჩემს ნიკაპზე ხელი ისევ მაგრად ედო და თვალებში ჩამაცქერდა... ვეღარ გავუძელ მის მზერას. ფეხზე წამოვდექი და ქუდს წამოვავლე ხელი. ფარაჯა მხრებზე წამოვისხი და მოხუცსა და თამარს გამოვემშვიდობე:

— წავალ, მივხედავ სტუმარს...

— წადი, შვილო, წადი, თუ ღვინო დაგჭირდეს, მოდი და წაიღე. აბა, მარნის გასაღები. მე უნდა დავიძინო.

— არ მინდა, ჩვენც მოხდილი გვაქვს ქვევრი, — ვუთხარი და უხერხულად გამოვედი სოლომონის სახლიდან. ჩქარი ნაბიჯით ჩავირბინე კიბე და ქვემო უბნისაკენ მიმავალ შარას გავყევი.

კარგა შეღამებული იყო, როცა შინ დავბრუნდი. მეზობლებს ჩვენსას მოეყარათ თავი. მაგიდაზე გაშლილ გაზეთს დასჩერებოდნენ. იაგორამ მაშინვე გაზეთისკენ მიმითითა.

გაოგნებული მივუახლოვდი მაგიდას და გადაშლილ გაზეთს დავხედე. ბრძანებულება წავიკითხე. არჩილისათვის სიკვდილის შემდეგ გმირის წოდება მიენიჭებინათ.

არ ვიცი, გაზეთს რამდენხანს დავყურებდი მდუმარედ, მაგრამ თავი მაღლა რომ ავწიე, ყველას მზერა ჩემსკენ იყო დამიზნებული. ვიღაც მოხუცმა დედაკაცმა ამოიოხრა. გული დამწვა ამ კვნესამ... ხვალ სოლომონი და თამარიც გაიგებენ... როგორ შეხვდება მოხუცი თავისი ერთადერთი ვაჟიშვილის სიკვდილს... ამ ფიქრში გართული წამოვდექი სკამიდან და უსიტყვოდ მეორე ოთახში გავედი. ისევ მივწექი საწოლზე — და კვლავ ფიქრს ავედევნე.

— ხვალ, სოფლის კლუბში მიტინგი გაიმართება, — თვალმილულულს მომესმა იაგორას ხმა... — ბრძენ სოლომონსაც მიიწვევენ. მიტინგს რაიკომის პირველი მდივანი დაესწრება.

თვალწინ წარმომიდგა ხალხით გაჭედილი კლუბი... სოლომონი. — იაგორას აღარა ვუთხარი-რა... ღრმა ფიქრში წასულს მალე ჩამძინებოდა. მამლის ყივილზე გამომეღვიძა, მაშინვე ფეხზე წამოვდექი, პირი დავიბანე, ფრონტულ ტანსაცმელში გამოვეწყე და ისევ ზემოობნისაკენ გავწიე. როცა სოლომონის სახლის იზოში შევედი და წიფლის ხეებს გავცქდი, კიბის წინ თამარი დამხვდა. ჭათმებისათვის ნაკმაზი დაეყარა და ღრმა გამოხედვით შემომანათა ანთებული თვალები. ჯერ არ გაეგოთ არჩილის სიკვდილი. მას სულ სხვა ცეცხლი სწვაოდა. უთქმელი სიყვარულით უძგერდა გული... შემომხედა თუ არა და ფერშეცვლილი დამინახა, ღიმილმა გადაურბინა ალუბლისფერ ტუჩებზე. მას ეგონა, რომ მეც იმ წუთში მისი ტრფობა მიკარგავდა ფერს, მისი უნეტარესი სიყვარული მიკარგავდა ფონასწორობას.

— გიორგი, რა მალე იბრუნე ფეხი... — ტუჩზე ისევ ღიმილმა გადაურბინა თამარს, როცა, ცოტა არ იყოს, დაბნეული დამინახა.

— ძილი არ მომეკარა თვალზე, გულმა თქვენსკენ გამომწია და, აი, მოვედი კიდეც.

თამარს კვლავ სიხარულით გაებადრა სახე... კალთიდან დარჩენილი ნაკმაზი ამოხვეტა და ღონივრად მოიქნია ჰაერში. ჭათმები დაესივნენ მიწაზე დაყრილ მარცვლებს და გულმოდგინედ დაუწყეს კენკვა.

— ავიდეთ შინ, — მითხრა თამარმა, როცა კალთა დაიბერტყა. — მამაჩემიც ზეზეა. რა ხანია წყაროზე პირიც დაიბანა. არც მას ეძინა, შვილად, შორეული ღამე ბორგავდა... ალბათ, სიზმარში იყო.

შინ ავედით. სოლომონი ტახტზე იჯდა და მარჯვენა მხარი — მუთაქაზე მიებჯინა კედელთან.

— რა ამბავია თქვენსას, სტუმრები უთენია გაგისტუმრებია, ალბათ, რომ ამ დილაადრიანად მე მომინახულე.

— ჰო, დილის მატარებლით წავიდნენ, მე კი გულმა ისევ თქვენსკენ გამომწია...

— დაჯექი გიორგი. დღეს ჩემი არჩილის დაბადების დღეა. კარგი დრო უნდა გავატაროთ. ჩემი თამარი ხინკალს მოგვიხარშავს. ქათამს შეგვიწვავს. მეზობლებსაც დავუძახოთ...

მხიარული განწყობილება ვიგრძენი სოლომონის ოჯახში. მამა და შვილი გაბრწყინებული სახეებით გამოიყურებოდნენ. რა მოხდა წუხელ მათ სახლში?! იქნებ თამარმა გაუმხილა მამას გულის ხვაშიადი? მაგრამ არა! თამარი მამას ვერაფერს ეტყოდა, რადგან ჩვენს შორის არავითარი ლაპარაკი არ ყოფილა. მათი სიხარული არჩილის დაბადების დღით არის გამოწვეულიმეთქი, — ვამბობდი ჩემ გულში.

სკამიდან წამოვდექი და მოწყენილი ვდუმდი. მოხუცმა უხასიათობა შემატყო.

— გიორგი, — მითხრა სოლომონმა, — იცოდე, თუ რამე გაგიტყდა, აღარ გამთელდება, თუ ვინმე მოგიკვდა, აღარ გაცოცხლდება. დარდით მწუხარებას ვერ გაჰქარწყლებ... აი, ერთი შემთხვევის შესახებ მოგიყვები. შემოდგომა იყო. ჯერ რთველი არ დაწყებულიყო. ღამე ვენახში ვიწექი. რიყრაუზე გამეღვიძა. უეცრად ვაზის ფოთლების შრიალი და ტოტების მტვრევის ხმა შემომესმა. ეჭვი არ იყო, ვიღაც ვენახში შემოსულიყო და ყურძენს იპარავდა.

— რომელი ხარ მანდ, გაჩერდი! — დავიძახე ომახიანად.

ჩემს ხმაზე შეწყდა ფოთლების შრიალი... რამდენიმე წუთის შემდეგ ვაზებიდან ორი ახმახი რგვალჭალელი მწყემსი გამოვიდა. მხრებზე აბგები ეკიდათ. გული მეტკინა, ვაზის მოტეხილი რქები რომ დავინახე, მაგრამ უკვე მოტეხილი იყო. რაღა ეშველებოდა. ქურდები იქვე ბულულთან დავსხი. ქოხიდან არაყი გამოვიტანე, კალათიდან პური და ყველი ამოვიღე და იქვე პატარა სუფრა გავშალე. საუზმეზე მივიწვიე დაუპატიჟებელი სტუმრები. მხიარულად გავესაუბრე. ვუთხარი, რომ ყურძნის მოკრეფა დანით ან მაკრატლით უნდა-მეთქი, რომ სამამულო რქა არ დაზიანდეს. მწყემსებს შერცხვათ. აბგიდან ყურძენი ამოიღეს და ბულულთან დააწყეს. ერთი მათგანი ატირდა კიდეც. მე დავამშვიდე და ვუთხარი: — თუ ყურძენი გინდათ, მე თვითონ მოგიკრეფთ. არც რქას დავაზიანებ.

— გვაპატიე, გვაპატიე. — შემომღაღადეს... მე ისევ აბგაში ჩავუყარე ყურძენი და თან გავატანე. — მწყემსები ხართ, — მინდოდა ეთქვა, — ან ეს იყო და ის, ჩემს ვენახს აღარ გაჰკარებიან.

— ასეა, ჩემო კარგო, — განაგრძო სოლომონმა, — ცუდი ამბავი გულთან არ უნდა მიიტანო. გამხნევდი.

სოლომონი მე მამხნევებდა, ის ჩემზე ფიქრობდა. ამ კეთილმა ადამიანმა არ იცოდა, თუ რა უნდა გაეგო დღეს. მთელი წელიწადი ვუმალავდი არჩილის სიკვდილის ამბავს... დღეს კი ყველაფერი ეცოდინება. მოხუცი ფუსფუსებდა. თამარს დავალება მისცა: — ქათმები დაკალი, ხინკალი მოხარშეო. ოთარაანთ მათა მოიშველიე, მარტოს გაგიჭირდებაო. დღეს ჩემი ბიჭის დაბადების დღეა. დაძმარებული სახით არავინ არ დავინახოვო. არც შენ მოიწყინო, გიორგიო.

მოხუცის სიტყვამ გული ამიჩუყა. ცრემლი მომერია. აივანზე გავედი. თოვდა. მოაჯირზე დავეყრდნე და ფიქრს გავყე. თვალწინ გამიჭოლეს ფრონტის სურათებმა.

— ნასვამი ხომ არა ხარ, ბიჭო, რომ ამ სიცივეში გაჩერებულხარ? შევიდეთ შინ.

დავემორჩილე. შინ შევედით. სუფრას მოვუსხედით. თამარიც ჩვენთან ჩამოჯდა.

სოლომონმა, ჩვეულებრივ, ღვინით აავსო ფიალა. მე კი არაყით სავსე ყანწი მომაწოდა. სოლომონი არაყს არა სვამდა. მე კი რაკი ღილა იყო, ორნახალი ჭაჭის არაყი დამესხა.

რაღაც წავილულლულე და ყანწი გამოვცალე. საჭმელს პირი ვერ დავაკარე. გული არ იღებდა. თამარმა მინის ჭილიდან ღორის მუყუჟი ამოიღო. სოლომონი გემრიელად შეექცეოდა ჩანვრულ და ჩაძმარულ ღორის შუაზე გაგლეჯილ ფიჩის ნაჭერს. არც ერთი კბილი არ აკლდა მოხუცს. თავს ჯერ ისევ მხნედ გრძნობდა.

— სადილზე. — მითხრა სოლომონმა, — არჩილის ტოლ-ამხანაგები მომიყვანე. მინდა გავმხიარულდე.

ვგრძნობდი, რომ მიჭირდა თავის შემაგრება. მესამედ გამოვცალე ყანწი.



სოლომონმა ეჭვით შემომხედა და თან თავისებური სიდარბაისლით მითხრა:

— გიორგი, დარდი შემოგწოლია გულზე. რა ამბავია შენს თავს?!.

— რაზე მატყობ, ძია სოლომონ, — მივუგე ნაძალადევი ღიმილით.

სწორედ ამ დროს კარი გაიღო და შინ ჩვენი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკა შემოვიდა. მოხუცს გაეხარდა მისი დახილვა. გვერდზე დაისვა. არაყი მიაწოდა. თავმჯდომარის შემოსვლას არავითარი ეჭვი არ აღუძრავს მასში.

— რა ამბავია სოფელში? მე კარში ვეღარ გამოვიხედე უამინდობაში.

— ისეთი არაფერი... დღეს რაიკომის მდივანს ველოდებით. კლუბში სოფლის კრება გვაქვს მოწვეული. ურიგო არ იქნება, თუ შენც წამოხვალ.

ბრძენ სოლომონს რად უნდა გაჰკვირვებოდა — ნიკას პატიჟი. მას როგორც პატივცემულ მოხუც კოლმეურნეს მუდამაც იწვევდნენ კრებაზე. სოლომონი დარიგებას აძლევდა ხორბლისა და სიმინდის მომყვან კოლმეურნეებს. მევენახეებს ურჩევდა, სად უნდა გაეშენებინათ ვაზი. რომელ მინდორზე უნდა დაეთესათ ბოსტნეული.

ახლაც ასე იფიქრა სოლომონმა, — ალბათ, კოლმეურნეობის საქმეზე იქნება ლაპარაკი....

— დღეს ჩემი ბიჭის, ჩემი არჩილის დაბადების დღეა... მაგრამ არა უშავს რა, წამოვალ, არ გაწყენინებთ. მხოლოდ არც თქვენ უნდა მაწყენინოთ, კრების შემდეგ ისევ აქ უნდა მოვიდეთ. რაიკომის მდივანსაც ვთხოვოთ. დავლოცოთ ჩემი ვაჟკაცი. ღირსიც არის, ომშია. თავი არ შეურცხვენია. აი, ცოცხალი მოწმე. გიორგი! ხმა ამოიღე, ბიჭო, — მომმართა მე, — რა თავი ჩაგიღუნია. სახე ჩემსკენ მოიბრუნე, — მე თავი მაღლა ავწიე და მტკიცე ხმით ვუპასუხე:

— ჩვენს ასეულში არჩილისთანა მეომარი არ მეგულებოდა.

ბრძენ სოლომონს სახეზე სიამაყისა და სიხარულის ნათელი მოეფინა... იგი ჩვენთან ერთად წამოვიდა კლუბში. დარბაზში ტევა არ იყო. ყველას სახეზე თავშეკავებული მწუხარება აღბეჭდილიყო.

დარბაზში შესულ სოლომონს მეზობლებმა გოცებით შეხედეს. თვით სოლომონს კი ისეთი მშვიდი და კმაყოფილი სახე ჰქონდა, რომ ყველა დამშვიდდა.

ნიკა სცენისკენ გაემართა. ჩვენ კი დარბაზის პირველ რიგში დაგვითმეს ადგილები. დავსხედით.

დაიწყო მიტინგი.

რაიკომის მდივანს მისცეს პირველი სიტყვა. მან გაზეთი მოიმარჯვა. მდივანი ლაპარაკობდა ჩვენი ქვეყნის არმიის გმირულ ბრძოლაზე, მეომართა თავდადებაზე.

— თქვენც გაქვთ საამაყო, — მოგვმართა მდივანმა დარბაზში მსხდომთ, — თქვენმა თანამემამულეებმა საქვეყნოდ გაითქვეს სახელი.

მდივანმა მეც დამასახელა. მაგრამ იმ წუთში მე მხოლოდ სოლომონზე ვფიქრობდი, რომელიც დინჯად იჯდა და გულდასმით უსმენდა მდივანს.

მოხუცს თვალს არ ვაშორებდი... მის ყოველ მოძრაობას ვაკვირდებოდი. როცა რაიკომის მდივანმა განაცხადა, რომ არჩილს სიკვდილის შემდეგ გმირობა მიენიჭაო, — გოცებული დავრჩი იმით, რაც ჩემი თვალით დავინახე...

შვილის სიკვდილის გაგონებაზე მოხუცი შეირხა, წონასწორობა კი არ დაუკარგავს... ორივე ხელი უკავარჯენს დააყრდნო.

მამა, რომელიც შვილის დაბადების დღის აღსანიშნავად ემზადებოდა, მოულოდნელობის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ გარეგნულად მის სახეზე არავითარი ცვლილება არ აღბეჭდილა... ისევ შარავანდედი ეფინა სახეზე. დინჯად, დარბაისლურად ისმენდა ორატორთა სიტყვებს.

დარბაზში ჩამოვარდნილი დუმილი დედაკაცის წამოძახილმა დაარღვია.

— ვაი, შენს დედას, შვილო. კიდევ კარგი რომ ცოცხალი აღარაა.

მოხუცმა გაიგონა ეს წამოძახილი... თითქოს ამ ხმას ელოდაო, წამოდგა და პირდაპირ ტრიბუნისაკენ გაემართა. ხალხმა გოცებული მზერა გააყოლა ბრძენ სოლომონს... ასეთი რამ არ ენახათ, არ გაეგონათ...

მამამ, რომელმაც შვილის სიკვდილი გაიგო, გლოვის ნაცვლად — ტრიბუნისკენ გასწია.

„რას იტყვის?“... ფიქრობდა ხალხი...

მოხუცი ტრიბუნაზე ავიდა.

ხალხი სულგანაბული ელოდა, რას იტყოდა მამა, რომელმაც შვილის სიკვდილის ამბავი გაიგო. წარბების სიღრმიდან მის ცისფერ თვალებს ცრემლი მოადგა, ეს ახოვანი კაცი დუმდა. უნდოდა რამე ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ხმა ჩაუწყდა.

სამარისებური სიჩუმე გამეფდა მთელ დარბაზში. ვიღაცას გული ამოუდუღდა. ტირილი წასკდა. სოლომონმა ხმის ამოღება ვერ მოახერხა.

გატყდა პიტალო კლდე... ცრემლმა გამოსავალი იპოვა. ატირდნენ დედაკაცები. გაისმა თანაგრძნობის გამომხატველი წამოძახილები...

სოლომონი ტრიბუნიდან უსიტყვოდ ჩამოვიდა... მე იქვე კიბის ძირში დავხვდი. ხელი შევაშველე. თავის ადგილზე დავსვი.

გმირობის წოდების მოწმობა და ოქროს ვარსკვლავი სოლომონს ჩააბარეს. მიტინგი დამთავრდა. დარბაზი დაიცალა. მე და სოლომონი დავრჩით კლუბში. ნიკაც ჩვენთან ჩამოვიდა.

სოლომონმა სცენისკენ გაიხედა. ნიკას მარცხენა ხელით ანიშნა რაიკომის მდივანზე.

— წამოიყვანე ჩემს ოჯახში. დღეს ჩემი ბიჭის დაბადების დღეა, — გაბზარული ხმით უთხრა ნიკას.

ყველანი სოლომონს გავყევით. სუფრა გაეწყო თამარს... ბუხარი გიზგიზებდა... მდუმარედ შემოვუსხედით მაგიდას. ღვინით სავსე ხელადები იდგა სუფრაზე. ორთქლი ასდიოდა მოხარშულ დედლებს...

— გიორგი, დაასხი ღვინო, — მითხრა სოლომონმა. ფიალები ავავსე ლალისფერი თავკვრით.—სოლომონმა, თითქოს ძალა მოიკრიბაო,—ჩვეულებრივი მხნეობა დაიბრუნა და მტკიცე, მაგრამ ნაღველჩაწვეთებული ხმით დაიწყო:

— მტერი მგელსა ჰგავს. თუ მოგახელა, არ დაგინდობს.

მგელს უთქვამს: შავ ღამეში, შავ ხნულზე შავი ბატკანი რომ დააწვინო, მაინც მივაგნებო, მტრის ტყვიამაც მიაგნო ჩემს არჩილს. არც ჩემს შვილს გაჰყოლია დარდი: მრავალი ყაჩაღი გაუგმირია. მე ვამაყობ ჩემი ვაჟკაცით. აცხონოს ღმერთმა. სიკვდილის შემდეგაც იცოცხლებს ჩემი შვილი.

სოლომონის მომაჯადოებელ ხმაში მამის ვარამიცა და მხნეობაც გამოსჭვივოდა...

მას აქეთ ერთი წელი გავიდა. ახლა მე ისევ იმ ბუხართან ვდგავარ, სადაც შარშან მისი შვილის არჩილის უკვდავების სადღეგრძელო დავლიეთ. თვით სოლომონი კი მეორე ოთახში წევს და სძინავს მარადიული ძილით. ბუხარში ისევ გიზგიზებს ცეცხლი, ისევ იწვის ხმელი იფნი...



ჯინჯანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. სუჩკოვი

ტინჯანი — ახალი წელი, ყველაზე დიდ დღესასწაულად ითვლება ბირმაში. წარსულისაგან განსხვავებით წელს ივი ერთი დღით მეტ ხანს გრძელდებოდა — 13-დან 17 აპრილამდე. ტინჯანს თან ახლავს წყლის დღესასწაული: სახელმწიფო დაწესებულებანი, დუქნები და მაღაზიები, აფთიაქებიც კი დაკეტილია, ამ დროს დილიდან საღამომდე ქუჩებში დადიან საზეიმოდ მორთული საბარგო მანქანები, რომლებზედაც ეწყობა

ბირმელები ერთმანეთს წუწავენ წყლით.

კონცერტები, ცეკვები, ცალკეული სცენები, პონტომიმები, უპირატესად თანამედროვე აქტუალურ თემებზე — როგორიცაა დედამიწის თანამგზავრის გაშვება და საპლანეტთაშორისო მოგზაურობა. მაგრამ დღესასწაულის თავი და ბოლო წყალია, ძველი ხალხური ტრადიციის მიხედვით, ყველას, პრეზიდენტიდან დაწყებული უბრალო მოსამსახურემდე, ნება ეძლევა, ერთმანეთის გაწუწვისა, ქუჩებში ნამდვილი წყლის ბატალიები იმართება. იყენებენ ყველაფერს, რითაც კი შეიძლება ადამიანის გაწუწვა. წყლის რევოლვერები და თოფები, ბაღის სარწყავი და სახანძრო შლანგები, კონსერვის კოლოფები და კასრები. ორი-სამი წუთის განმავლობაში ამ „ცეცხლით“ უმასპინძლდებიან ქუჩაში „დაჭერილ“ მანქანასა და მის მგზავრებს და შემდეგ მორიგ „მსხვერპლს ამუშავებენ“. არავის არ ძალუძს გაექცეს ამ წყლის აბაზანებს. ხანდახან სავსე კასრში აგდებენ გამვლელს და ზევიდანაც 2-3 ვედრო წყალს გადაასხამენ. ხანდახან გამვლელთან მიირბენს ლამაზი გოგონა, ნებართვას თხოვს, სურნელოვან წყალს შეასხურებს და მერე ერთმანეთს „მადლობით“ დაშორდებიან. და მართლაც მადლია ხოლმე ასეთი გაგრილება 40°-იან სიცხეში, თითქოს თვით ბუნებამ უკარნახა ბირმელებს ამ ზეიმის დაწესება.

ბირმელებმა შრომაც კარგად იციან და დასვენებაც. მხიარულებისას ისინი არ საჭიროებენ რაიმე დოპინგს, ბირმაში ზეიმის დროსაც კი იშვიათად შეხვდებით მთვრალ ადამიანს.

წყლის დღესასწაულში არის რაღაც სიმბოლიური, რადგან ბირმელებისათვის წყალი თვით სიცოცხლეა. ქვეყნის მთავარ სიმდიდრეს ისეთი წყლისმოყვარული კულტურა შეადგენს, როგორიცაა ბრინჯი. ამიტომ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება მუსონი — წვიმების სეზონი.

შარშან, მაგალითად, მუსონმა დაიგვიანა, შემდეგ კი წყალდიდობამ გაანადგურა მილიონ ტონამდე ბრინჯი, ქვეყანა დიდ გასაჭირში ჩავარდა. ინფლაციის თავიდან ასაცილებლად ბირმა იძულებული შეიქნა სესხი აიღო საზღვარგარეთიდან.

მაგრამ, თუ ქვედა ბირმისათვის — ბრინჯის ძირითად ზონისათვის პრობლემა ზედმეტი წყლის გადაგდებაში მდგომარეობს მუსონების დროს, ზედა ბირმაში ამოცანა შებრუნებულია — იქ წყალს აგროვებენ მიდვრების შემდგომი მორწყვისათვის.

ბირმელი ხალხი ყველაფერს ცდილობს იმისათვის, რომ რაც შეიძლება ნაკლებად იყოს დამოკიდებული ბუნების სტიქიურ ძალებისაგან. ყოველწლიურად იზრდება კაპიტალური დაბანდებანი სადრენაჟო და სარწყავი სამუშაოებისათვის. ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სწრაფად მოსპოს წყეული კოლონიური წარსული შედეგები. ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში ბირმის მთავრობის გადაწყვეტილებით უნდა აშენდეს წყალსაცავები, კაშხალები, სარწყავი არხები. ამ გეგმის შესრულებაში ბირმას დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი.

სამუშაოთა დამთავრების შემდეგ სიცოცხლე დაუბრუნდება 70 ათას აკრ მწირ მიწას.

ტინჯანის ზეიმი ბირმაში.

ახალი გამოკვლევები ანტარქტიდაზე



საერთაშორისო გეოფიზიკური წლის შესწავლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტია ანტარქტიკული ოლქი და კერძოდ ანტარქტიდა, რომლის გამოკვლევებში მონაწილეობას ღებულობს 12 სახელმწიფო: სსრ კავშირი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ნორვეგია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, არგენტინა, ჩილი, ბელგია, იაპონია და სამხრეთ აფრიკის კავშირი. სამეცნიერო ბაზების საერთო რიცხვი 35-ს აღწევს. აშშ შტატებს ანტარქტიდაზე მოწყობილი აქვს 6 სამეცნიერო სადგური, დიდ ბრიტანეთს რვა, ჩილის 5, ავსტრალიას 3 და ა. შ.

ანტარქტიდის კვლევას დიდი მასშტაბებით აწარმოებს საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიცია. ჯერ კიდევ 1956 წელს აღმოსავლეთ ანტარქტიდაზე, დევისის ზღვის ნაპირზე შეიქმნა დიდი დასახლებული პუნქტი — გეოფიზიკური ობსერვატორია და ანტარქტიკული ექსპედიციის მთავარი ბაზა „მირნი“ (სამხ. განს. 66° 35′ და აღმ. გრძ. 93°). სულ მალე დაბა „მირნიდან“ 375 კილომეტრის მანძილზე, 2700 მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან შეიქმნა სამეცნიერო სადგური „პიონერსკაია“. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ანტარქტიდის ამ სადგურზე მუშაობს ქართველი ინჟინერი გარსევან კურდღელაიძე.

კონტინენტის სიღრმეში დროებით იყო მოწყობილი და მუშაობდა სადგური „ვოსტოკი 1“ მიუწვდომლობის პოლუსის მიდამოებში, ხოლო სადგური „სოვეტსკაია“ სამხრეთ გეომაგნიტური პოლუსის მიდამოებში.

გარდა „მირნისა“ და „პიონერსკაიასი“, შექმნილია სადგურები „ოაზისი“, „კომსომოლსკაია“ და „ვოსტოკი“.

მიუხედავად მძიმე მეტეოროლოგიური პირობებისა, საბჭოთა სამეცნიერო სადგურები ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებენ ანტარქტიდაზე და უკვე დიდძალი მეცნიერული მასალა დააგროვეს.

ივლისში შესრულდა საერთაშორისო გეოფიზიკური წლისთავი და უკვე შეიძლება ზოგიერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება.

საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიციის წევრებმა მოახდინეს მთელი რიგი მარშრუტები მატერიკის სიღრმეში. სპეციალური ხელსაწყოების საშუალებით მთელ რიგ მარშრუტებზე დადგენილი იქნა ანტარქტიდის საუკუნოვანი ყინულის სისქე. ამის შედეგად გამოთქმულია ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოსაზრება, რომ ანტარქტიდა არ წარმოადგენს კონტინენს, როგორც ეს დღემდე მიაჩნდათ მეცნიერებს, არამედ ეს არის დიდი კუნძულების არქიპელაგი, რომელიც ათეული ათასი წლების განმავლობაში ყინულებით დაიფარა.

დიდი მუშაობაა ჩატარებული ჰავის შესწავლის დარგში როგორც ანტარქტიდის სიღრმეში, ისე ჰაერის მაღალ ფენებში. სპეციალური საჰაერო ბურთობების გაშვებით, თვითმფრინავებიდან დაკვირვებებით დადგენილია ატმოსფერული პროცესების რიგი მნიშვნელოვანი კანონზომიერებანი ანტარქტიდაზე. ასე, მაგალითად: დღემდე „სიცივის პოლუსად“ მიჩნეულია ოიმიაკონის ქვაბური (იაკუტიის ასსრ), სადაც იანვრის ყველაზე დაბალი ტემპერატურა მინუს 73 გრადუსს აღწევს. მეცნიერების ვარაუდით ანტარქტიდის სიღრმეში ზამთრის უმდაბლესი ტემპერატურა მინუს 80-85 გრადუსს აღწევს და მნიშვნელოვნად აღემატება დღემდე ცნობილ დაბალი ტემპერატურის ყველა მონაცემს მსოფლიოში.

ბოლო წლებში მეცნიერების დაკვირვებით დედამიწის ზედაპირზე თანდათანობით ხდება დათბობა და ყინულის ფართობების შემცირება. ასე, მაგალითად: მეცხრამეტე საუკუნეში მყინვარებით დაფარული იყო ხმელეთის მთელი ფართობის 40 მილიონი კვადრატული კილომეტრი, ე. ი. მთელი ხმელეთის 27 პროც. დღეისათვის კი ყინვარებით დაფარულია ხმელეთის მხოლოდ 15 მილიონი კვადრატული კილომეტრი, რაც მთელი ხმელეთის ფართობის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს. მაშასადამე ერთნახევარი საუკუნის განმავლობაში ყინვარებით დაფარული ხმელეთის ფართობი 25 მილიონი კვადრატული კილომეტრით შემცირდა.

ყინვარებით დაფარული ხმელეთის ფართობის შემცირება ინტენსიურად გრძელდება ჩვენს ეპოქაში. ყინვარების უკან დახევა და საერთო დათბობა ყველაზე მეტად შეინიშნება ანტარქტიდაზე, სადაც უკვე გაჩნდა ბევრი „ოაზისი“ — ყინულისაგან თავისუფალი ადგილები. ანტარქტიკული ზღვის სანაპიროებზე გამოჩნდა თევზის მრავალი სახეობა, სხვადასხვაგვარი კიბორჩხალები. ხაკვების სიმრავლის გამო დიდად გაიზარდა პინგვინების რიცხვი.

საბჭოთა ექსპედიციის მონაწილეები აწარმოებენ დაკვირვებას კოსმიურ სხივებსა და სეისმურ მოვლენებზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში „მირნის“ სეისმურმა სადგურმა აღნიშნა დამანგრეველი სიმძლავრის მიწისძვრა ცენტრალურ ანტარქტიდაში.

ანტარქტიდის კვლევა გრძელდება. შრომების პირველი და მეორე ტომი ანტარქტიკული კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობის შედეგების შესახებ გამოქვეყნდება მომავალ წელს, ხოლო საბოლოო შედეგები შრომების სახით მთლიანად გამოცემული იქნება 1961-62 წლებში.

გრ. ზარდალიშვილი

გგერეგს შეცვლიან სიგნალები

ა. ცისკარიძე

როდესაც საბჭოთა კავშირმა შექმნა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, მოსკოვის რადიოში ერთმა ცნობილმა მწერალმა განაცხადა: „მე აღფრთოვანებული ვარ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ბრწყინვალე გამარჯვებით, დადგა კაცობრიობის ახალი ერა. სხვა ადამიანებთან ერთად უდიდეს სიხარულს განვიცდი, მაგრამ პირდაპირ უნდა გითხრათ, მეგობრებო, სიხარულს თან სდევს რაღაც უსიამოვნო განცდა: ახლა, როცა მე თქვენ გესაუბრებით, მოსკოვის ერთ-ერთ სტამბაში იბეჭდება ჩემი ფანტასტიკური რომანი, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ შეიქმნა... დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი.. მწერლებისთვის უკვე ძნელია ფანტასტიკური ნაწარმოებების შექმნა.“

მოსკოველი მწერლის ეს სიტყვები მომაგონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტში ყოფნისას, როდესაც გამოცდილი ინჟინერი ტექნიკის ახალ მიღწევებზე მელაპარაკებოდა.

— ბგერებს უსათუოდ შეცვლიან სიგნალები, — განაგრძობდა საუბარს ინჟინერი. — წარმოიდგინეთ, თბილისიდან მოსკოვთან ლაპარაკობთ ტელეფონით. თქვენი ხაზი დაკავებულია და სხვას არ შეუძლია ილაპარაკოს. მაგრამ თუ ხაზში გაიგზავნება არა ბგერები, არამედ სიგნალები, მაშინ ლაპარაკს შესძლებს რამდენიმე ათეული კაცი. ჩვენ უნდა შევქმნათ აპარატურა, რომელიც ელსმენში წარმოქმნილ ბგერებს გარდაქმნის სიგნალებად. მაგალითად, ჩვეულებრივი მორზეს აპარატის სიგნალები ან სხვა კოდირებული ნიშნები, — დენის იმპულსების სხვადასხვა კომბინაცია. და ინჟინერმა ასე წარმოგვიდგინა ახალი სისტემის მთლიანი მოქმედება. მოქალაქე თავის ბინიდან ჩვეულებრივ ლაპარაკობს საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში, ყოველი ბგერა იწვევს გარკვეული სიგნალის შექმნას. ეს სიგნალი გადაეცემა ასობით კილომეტრზე და, მაგალითად, მოსკოვში, კვლავ ბგერებად გარდაიქმნება, მხოლოდ მოსკოვში, ადამიანის მაგივრად, მანქანა ილაპარაკებს. ასეთი სისტემის მეოხებით ერთის მაგივრად მოსკოვთან ლაპარაკს შესძლებს ასზე მეტი მოქალაქე.

ინჟინერმა მაგიდის უჯრიდან ამოიღო რამდენიმე ახალი ჟურნალი. თურმე უცხოეთშიც მუშაობენ ამ რთული პრობლემის გადაწყვეტად, განსაკუთრებით, ინგლისის სამეცნიერო ინსტიტუტები და ამერიკის ფირმა „ბელლა“, რომელსაც ხელთა აქვს ჩაგდებული თითქმის მთელი ამერიკის სატელეფონო ქსელის ექსპლოატაცია.

— ჯერჯერობით ეს პრობლემა არსად არ არის გადაწყვეტილი. დაინტერესდით, თუ რა გაკეთდა ამ მხრივ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტში. რას მიაღწია პატარა კოლექტივმა ალექსანდრე კაკაურიძის ხელმძღვანელობით.

— უკვე დავამზადეთ აპარატურა, რომელსაც „ესმის“ ორი სიტყვა, „წინ“ და „გაჩერდი“. ეს აპარატურა რაიმე ბგერის წარმოქმნისას გარკვეული ელექტრომაგნიტის წრედსა კრავს. ხოლო რელეების კომბინირებით იკვებება საბოლოო წრედი, რომელსაც მოქმედებაში მოყავს შემსრულებელი მექანიზმი. აპარატურა თავისებურ „საცერს“ წარმოადგენს. ახლა ვაუმჯობესებთ მას და ვფიქრობთ, დავამზადოთ მანქანა, რომელიც ბგერებს დაბეჭდავს ქაღალდზე — ადამიანი ილაპარაკებს მიკროფონში, ხოლო საბეჭდი მანქანა ავტომატურად გამოსახავს ქაღალდზე ასოებს.

— როგორ დაეხმარება ასეთი მანქანა მწერლებს!

— განა მარტო მწერლებს? მისი გამოყენება ხელსაყრელი იქნება სტენოგრაფიული ჩაწერისათვის. შეიძლება ითქვას, ასეთი მანქანის დამზადება ყველაზე ადვილია ქართული ლაპარაკის ავტომატური ბეჭდვისათვის. მართლაც, ქართულად რასაც ვლაპარაკობთ, ის ხომ ზუსტად ისევე უნდა დაიბეჭდოს. ეს აადვილებს მანქანის კონსტრუქციას. კიდევ უფრო შორს შეიძლება წავიდეთ. ცნობილია, რომ ტელეფონის ნომრის აკრეფის დროს ხაზში დენის იმპულსები იგზავნება. მაგრამ ჩვენი აპარატურა ხომ ბგერებს სიგნალებად გარდაქმნის? იმის მაგივრად, რომ დისკოზე ავკრიფოთ ციფრები, შეიძლება მიკროფონში ნომერი ვთქვათ და ბგერები ატს-ში იმპულსებად გარდაიქმნება. ტელეფონებს ნომრის ამკრეფი დისკოები აღარ დასჭირდებათ.

მანქანა, რომელიც ლაპარაკს დაბეჭდავს ასოებად.

აპარატურა, რომელიც სატელეფონო ხაზში ბგერების მაგივრად ტელეგრაფის სიგნალებს გაგზავნის და ეს სიგნალები მერე ბგერებად გარდაიქმნება.

ტელეფონი ნომრის ამკრეფის გარეშე.

მანქანები და მოწყობილობები, რომლებიც „გაიგებენ“ ადამიანის ლაპარაკს.

განა რამდენიმე წლის წინათ ეს ფანტაზია არ იყო?

სწორედ თქვა მოსკოველმა მწერალმა: სულ ოთხრო გაოძნილდებათ **მწერლებს ოცნება...**

ინჟინერი ალექსანდრე კაკაურიძე ლაბორატორიაში.

სპორტული ამბები

ფეხბურთელი ძმები

თუ როგორი პოპულარულია ფეხბურთი მთელს მსოფლიოში — ეს ყველამ იცის. ხშირია შემთხვევები, როცა ერთ გუნდში მონაწილეობს ერთი ოჯახის რამდენიმე წევრი.

მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში თამაშობს ორი ძმა — კარლ და ზიგფრიდ ვოლფები, დასავლეთ გერმანიის ნაკრებში — ფრიც და ოტმარ ვალტერები, უელსში — ჯონ და მელ ჰარლეები და ა. შ.

მაგრამ არის გუნდები, სადაც მოთამაშე ძმათა რაოდენობა მეტია. საფრანგეთის სოფელ აუდუნ ლე ტიჰეში ამაყობენ იმით, რომ აქაური გუნდი ძირითადად დაკომპლექტებულია სბროგლიას გვარის ოჯახით: მასში თამაშობს 7 ძმა. პატარა დანიური დაბა ტინგშტედის გუნდის შემადგენლობაში ყველა 11 მოთამაშე — ძმებია, ხოლო არგენტინულ ქალაქ ლავალში გუნდი შეადგინა 15-მა ძმამ ისე, რომ მასში სათადარიგო მოთამაშეებიც კი ერთი ოჯახის წარმომადგენლები არიან.

ყველაფერი საკუთარი ხელებით

— ფეხბურთელი სპეციალისტი უნდა იყოს ყოველ დარგში, მას ყველაფერი უნდა შეეძლოს — ამბობენ „ტულუზის“ კლუბის ფეხბურთელები და თავიანთ სიტყვებს საქმით ამტკიცებენ.

„ტულუზის“ მოთამაშეები, მაგალითად, ყოველ სამშაბათს წერენ ინფორმაციებს განვლილი კვირის მატჩების შესახებ. ამ დღეს ფეხბურთელებს ყველაფერი ისე აქვთ დაგეგმილი, როგორც ნამდვილ რედაქციაში: ისინი ასწორებენ ხელნაწერებს, ამზადებენ მასალას დასაბეჭდად, მიაქვთ იგი სალინოტიპოში, კითხულობენ კორექტურას და ა. შ.

ამ დღეს მოთამაშეები სახლებში მიდიან მხოლოდ მას შემდეგ, როცა წაიკითხავენ ახალდაბეჭდილი გაზეთის პირველ ნომრებს. ოთხშაბათს დილით ისინი თვითონვე ყიდიან გაზეთებს.

ფრანგები დიდი ინტერესით კითხულობენ ამ გაზეთს, ვინაიდან სხვადასხვა ცნობათა გარდა, მასში იბეჭდება „საფეხბურთო ჭორები“, რომლებიც ქვეყნდება უშუალოდ პირველადი წყაროებიდან.

საშინელი სასჯელი

ერთ-ერთი საფეხბურთო მატჩის დროს დასავლეთ გერმანიის ქალაქ ბეცდორფში განაწყენებული გულშემატკივარი გადმოხტა მინდორზე და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს.

პოლიციამ დაიკავა ხულიგანი, ხოლო სასამართლომ მას მიუსაჯა: 4 კვირის პატიმრობა, 850 მარკა ჯარიმა და... აუკრძალა ფეხბურთის მატჩებზე დასწრება 4 წლის განმავლობაში.

რა თქმა უნდა, ფეხბურთის მოყვარულისათვის ყველაზე საშინელი ეს ბოლო პუნქტი იყო.

თავდაღმა

ახალგაზრდა ავსტრიელმა ტანმოვარჯიშემ ზიგფრიდ ვასლბერგმა თავი გამოიჩინა იმით, რომ თავდაღმა, მხოლოდ ხელებზე, გაიარა 3.248 კილომეტრი. ამას წინათ მან ამ ხერხით მიაღწია ზალცბურგიდან ვენამდე.

ორმაგი სიცხვილი

ლონდონის პოლიციას ჰყავს ფეხბურთის გუნდი, რომელიც რეგულარულად მონაწილეობს სხვადასხვა შეჯიბრებებში. „წესრიგის დამცველთა“ გუნდს ამას წინათ მატჩი ჰქონდა „ჩინგელის“ კლუბთან.

პოლიციელებმა თამაში წააგეს. როცა ისინი დაღლილნი, უხალისოდ დაბრუნდნენ გასახდელში და გადაწყვიტეს გულის გასაქარვებლად თითო-ოროლა ჭიქა ვისკი გადაეკრათ, გამოირკვა, რომ მათი ჯიბეები ცარიელი იყო. ქურდს პირწმინდად მოესუფთავებინა ყველაფერი.

მატჩი წაგებულ იქნა, ფულიც მოიპარეს, ქურდიც მიიმალა. პოლიციელები დიდხანს თავს გარეთ ვერა ჰყოფდნენ სირცხვილისგან.

გოლი გაპარეს მეკარესაც

ეს იყო დიდი ხნის წინათ — 1912-13 წლების ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატში. მაშინ დიდი წარმატებით თამაშობდა კლუბი „გრინოკ მორტონი“. სეზონის დასასრულს გამოირკვა, რომ მოწინააღმდეგეთა კარებში ბურთი გაუტანია გუნდის ყველა წევრს, გარდა მეკარისა.

გათამაშების უკანასკნელ მატჩში „გრინოკ მორტონის“ სასარგებლოდ დანიშნულ იქნა 11 მეტრიანი საჯარიმო, რომლის შესრულების უფლება მისცეს გუნდის მეკარეს.

გოლი გატანილ იქნა.

უტექსტო ხუმრობა. ნახატი ჯ. ლ ო ლ უ ა ს ი

მტაცებელ ცხოველებიდან, ლომს ყველაზე პატარა გული აქვს.

ბუზს, ლოკოკინასა და ზღვის ვარსკვლავს სრულებით არ გააჩნიათ სმენა.

ფრანგი მათემატიკოსი და ფიზიკოსი პიერ ბუგერი (1698-1758) თხუთმეტი წლის იყო, როდესაც პარიზის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის პროფესორი გახდა.

კოლიბრი ერთადერთი ფრინველია, რომელსაც შეუძლია უკუფრენა და ჰაერში უმოძრაოდ დაკიდება.

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ქალაქ გერაში ინახება კედლის საათის საინტერესო ეგზემპლარი, რომელიც მთლიანად პორისაგანაა გაკეთებული. უკვე ორმოცდახუთ წელზე მეტია, რაც ეს საათი ზუსტად და შეუფერხებლად მუშაობს.

ჰააგის ტურნირზე 84 წლის გერმანელმა ჭადრაკის ოსტატმა მიზესმა დაამარცხა 86 წლის ჰოლანდიელი ვან-ფორრესტი. „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ — განაცხადა თამაშის შემდეგ მიზესმა.

წამზომი ისარი საათზე გამოიგონა ინგლისელმა ექიმმა ჯონ ფლუერმა (1649-1734), რომელიც ადამიანის პულსის მუშაობას იკვლევდა.

ყველაზე დიდი ყვავილი მსოფლიოში არის რაფლეზია არნოლდი. მისი სამშობლოა კუნძული სუმატრა. ამ ყვავილის წონა ათ კილოგრამს აღემატება, ზომა კი მეტრზე მეტია.

ავტორიტეტული სპეციალისტები თვლიან, რომ დედამიწაზე მცხოვრებ ხალხის ენების რიცხვი 2796-ს აღწევს, ამ რიცხვში არ შედის ერთი და იგივე ენების სხვადასხვა დიალექტები.

ყოველი ტონა ფოლადის გამოდნობაზე 270 ტონა წყალი იხარჯება.

თავისებური რეკორდი სიმღერაში იტალიელ კარლო ფარიონელის ეკუთვნის. მან ერთ ნოტზე 6 წუთი შესძლო სიმღერა.

რედაქტორი გრ. აბაშიძე **სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.**

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | **მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეჟავა** **ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. **ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38.**

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. **ფასი 3 მან.** **გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოციინკოგრაფიაში.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად. 1/VIII-58 წ. გამომც. № 114. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი — 20.000. შეკვეთის № 371. უე 00959,

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

ბეჭდვითი ხიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

...ეროსი მანჯგალაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინათ ერთმანეთს შეხვდნენ მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის თეატრების ფეხბურთის გუნდები. ეს იყო, ასე ვთქვათ, თეატრალურ-სპორტული სანახაობა. ახალგაზრდა მსახიობებმა ნოდარ ჩხეიძემ, ეროსი მანჯგალაძემ, ედიშერ მაღლაფშვილმა. და სხვებმა, ამ „სპექტაკლშიც" შესძლეს დაკისრებული ამოცანის გადაწყვეტა_და მშვენივრად „განასახიერეს" ფეხბურთელთა როლები.

1. ასე დაიწყო პირველი „მოქმედება". 2 სცენის ვეტერანსა და დამწყებ ფეხბურთელს რესპუბლიკის სახალხო არტისტს ემანუილ აფხაიძეს წილად ხვდა პირველი დარტყმის საპატიო უფლება. 3. სცენა გასახდელ ოთახში. 4. „ხასიათთა შეტაკება". 5. სპორტის დამსახურებული „რეჟისორის" ბორის პაიჭაძის და თეატრის ახალგაზრდა „ფეხბურთელის" ეროსი მანჯგალაძის შეხვედრა.

ზემოთ მარცხნივ:—ბურთი აქვს ფეხბურთელ ეროსი მანჯგალაძეს. აი, მან მოატყუა მსახიობი ეროსი მანჯგალაძე და ბურთი გაუპრ. დიქტორ ეროსი მანჯგალაძეს . . . დარტყმა, კიდევ დარტყმა, მაგრამ . . .

ფოტო ოთ. თუარძიასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა